ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

პარასკევი, 26 თებერვალი, 2021 №30 (8559) ფასი: 60 თეთრი

ვახო სანაიას 3 ადამიანი თავს დაესხა

გვ.5

„ერთი მათგანი ჩემი ცოლის ყოფილი მეზობელი იყო“

პოლიციამ თავდამსხმელები დააკავა

„კალაძეს ვურჩევ, გახარიას მიბაძოს!“

გვ.3

ლაშა ჩხარტიშვილი: „ქვეყნის გახსნა-ჩაკეტვითა და კომენდანტის საათით ცდილობენ ქვეყნის მართვას. დღეს ამაზე დგას ეს მთავრობა“

გვ.3

„მელიას დაკავებით ხელისუფლებამ რუსეთის მონური მორჩილება დაუმტკიცა“

რომან გოცირიძე: „ივანიშვილი ჩრდილშიც ვერ ახერხებს დამალვას“

„ღარიბაშვილის სისუსტე გამოჩნდა, დასავლეთმა „ოცნების“ რეალური სახე დაინახა“



გვ.2

ნიკა ჩიტაძე: „ხელისუფლებამ შექმნა ნიადაგი, რომ მოკრიმინალო ელემენტებით ადამიანებს გაეხსნათ ხელ-ფეხი“



გვ.4

„გახარია პასუხს აგებს, რიონის ხეობაში მიწა გაიყიდა“

ლევან ჩაჩუა: „თუ ღარიბაშვილს მიწებზე გული მართლა შესტკივა, დაინტერესდეს, რა მოხდა რიონის ხეობაში“

გვ.4

დავით ლორთქიფანიძე: „მასირებული შეტევა მიდის ხელისუფლებაზე და აპოკალიფსური სურათი იხატება“

„ყველაფერი კეთდება, რომ საქართველოში ვაქცინა მალე შემოვიდეს“

გვ.2

პროკურატურა: „გადაიხადოს მელიამ გირაო და მის გამოშვებას მოვითხოვთ“

გვ.5

ISSN 1987-9385

2 მამუკა მდინარაძე: „მოლაპარაკებებისთვის მზად ვართ“

2 ღარიბაშვილი: „ვახო სანაიას ოჯახზე თავდამსხმელები მთელი სიმკაცრით დაისჯებიან“

5 პოლიციამ 2019 წლიდან ძებნილი პირი დააკავა

6 „სომხეთში გენშტაბი სამხედრო გადატრიალებას აპირებს“ ფაშინიანმა გენშტაბის უფროსი მოხსნა

„ღარიბაშვილის სისუსტე გამოჩნდა, დასავლეთმა „ოცნების“ რეალური სახე დაინახა“

ნიკა ჩიტაძე: „ხელისუფლებამ შექმნა ნიადაგი, რომ მოკრიმინალო ელემენტებით ადამიანებს გაეხსნათ ხელ-ფეხი“

იაგო ნაცვლიშვილი

რა რეალობაა ქვეყანაში და აღიქვამს თუ არა მას „ქართული ოცნება“? რას ნიშნავს ჟურნალისტ ვახო სანაიაზე თავდასხმა და ნიშნავს თუ არა ეს პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის ხელწერის ამოქმედებას? — ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პოლიტოლოგი ნიკა ჩიტაძე საუბრობს.

– რა ხდება ქვეყანაში? ერთი მხრივ ვხედავთ უმკაცრეს განცხადებებს დასავლეთიდან, მეორე მხრივ „ოცნებაში“ ისიც კი გვითხრეს, რომ ზომიერი განცხადებებიაო და ვერ აღიქვამენ რეალობას? ზოგადად რა რეალობა მივიღეთ ნიკა მელიას დაჭერის შემდეგ?

– მე ასე მგონია, რომ რეალობას კი აღიქვამენ, მაგრამ ამის აღიარება არ უნდათ. არ გამოვიდოდნენ და არ იტყოდნენ, რომ ღირსები ვართ და დავიმსახურეთ კრიტიკა დასავლეთის მხრიდანო. ფაქტია, რომ აღიარებენ იმას, რომ არის კრიტიკული განცხადებები.

რეალობას რაც შეეხება, ნიკა მელიას დაჭერის შემდეგ ის გარკვეულწილად შეიცვალა. თუ იქამდე დასავლეთი ნეიტრალურ პოზიციას იკავებდა და შეიძლება ასეც ითქვას, რომ ხელისუფლების მხარეს, ახლა ეს შეიცვალა. მათი განცხადებები მაინც ხელისუფლების წისქვილზე ასხამდა წყალს.

– მოზომილი იყო და მაგას გულისხმობთ?

– მოზომილიც იყო და ოპოზიციის მიმართ მოწოდება იყო, რომ პარლამენტში შესულიყო. არავის არ უთქვამს, რომ საქართველოში რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები უნდა გამართულიყო. პირიქით, მთავრობის წევრებს, იგივე გახარიას თავის დროზე პრემიერად დამტკიცება მიულოცეს. ანუ თავის დროზე ხელისუფლებას შერჩა ის დარღვევები, რომელიც მოხდა 2020 წლის 31 ოქტომბერს. მიუხედავად იმისა, რომ სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუარესდა, მაინც შეინარჩუნეს ხელისუფლება. იმის მიუხედავად, რომ პროპორციულ ნაწილში 48% მიიღო სახელისუფლებო პარტიამ. ამიტომაც, თვითონ გაიუარესეს პოზიცია.

ეგონათ, რომ გაუვიდოდათ ნიკა მელიას დაკავება, რამეთუ იტყოდნენ, პროკურატურამ საქმე აღძრა, სასამართლომ შეუფარდა და ჩვენ არაფერ შუაში არ ვართო. მაგრამ რახან სისხლის სამართლის საქმე აღიძრა და პატიმრობა შეეფარდა მელიას, ჩათვალეს, რომ არდაჭერა ჩაეთვლებოდათ სისუსტედ. თითქოს იტყოდნენ, რომ იმდენად უუნარო ხელისუფლებაა, რომ ადამიანის დაჭერაც კი არ შეუძლიაო. ამიტომაც მიიღეს გადაწყვეტილება, რომ დაეკავებინათ, ეს გადაწყვეტილება მიიღო ხელისუფლებამ და არა პროკურატურამ ან სასამართლომ.

– „ოცნების“ თვალით რომ შევხედოთ, გახარიამ სისუსტე გამოავლინა?

– შესაძლოა მათ ასე ჩათვალეს, მაგრამ სინამდვილეში მან რეალურად შეაფასა სიტუაცია და მიხვდა, რაც მოყვებოდა ამ საკითხს არა მხოლოდ სახელისუფლებო პარტიისთვის, არამედ საქართველოსთვის. ამ შემთხვევაში ის მართალი აღმოჩნდა. მე პირადად მიმაჩნია, რომ სიძლიერე გამოავლინა. შესაძლოა, რომ ხელისუფლება მიიჩნევს, თითქოს გახარია სუსტია ამის გამო, მაგრამ გამოჩნდა, რეალობა შეაფასა.

კი ბატონო, შესაძლოა „ოცნების“ თვალში ღარიბაშვილმა სიძლიერე გამოავლინა და „შეუსრულა“ მელიას და „ნაცმოძრაობას“, მაგრამ თუ წინა დღეს პარლამენტში მელიას კრიმინალად მოიხსენიებდა და კრიმინალურ ბანდად მოიხსენიებდა ოპოზიციას, უკვე მეორე დღეს, მას შემდეგ, რაც კრიტიკის ნაკადი წამოვიდა დასავლეთიდან, მერე უკვე დაიწყო დიალოგზე და სჯობს ვიფიქროთ იმაზე, რა გვაერთიანებსო. შეიძლება ითქვას, რომ აქ გამოჩნდა ღარიბაშვილის სისუსტე.

– ორივე მხარე დიალოგზე საუბრობს, მაგრამ არც ერთი მხარე დათმობას არ აპირებს. ოპოზიციამ სამი მოთხოვნა დააყენა და თქვა, რომ ამის გარეშე დიალოგი არ იქნება. ამ ვითარებაში რამდენად რჩება დიალოგის შესაძლებლობა?

– თუ ხელისუფლება დღის წესრიგში შეიტანს, რომ შესაძლებელია საქართველოში ჩატარდეს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები, შესაძლებელია, რომ ოპოზიცია მოლაპარაკების მაგიდას მელიას გარეშეც მიუჯდეს. აქ მთავარი პრობლემა ის არის, რომ ხელისუფლება არ თანხმდება ვადამდელი არჩევნების შესაძლებლობაზე.

– ანუ, ხელისუფლებამ ეს შესაძლებლობა უნდა დაუშვას?

– კი, ეს შესაძლებლობა არსებობს. აქამდე დასავლეთის მხრიდან არანაირი ზეწოლა არ იყო, რომ საქართველოში ვადამდელი არჩევნები ჩატარებულიყო, მაგრამ დღეს უკვე ისმის ეს მოწოდებები ხელისუფლების მისამართით დასავლელი პოლიტიკოსებისგან. მათ უფრო მეტად დაინახეს ხელისუფლების სახე. დღეს ოპოზიციას პარლამენტში შესვლისკენ არავინ აღარ მოუწოდებს და კრიტიკულები არიან მმართველი პარტიის მიმართ. ანუ ვითარება შეიცვალა.

– ვნახეთ, რომ ჟურნალისტ ვახო სანაიას თავს დაესხნენ. რისი ბრალია, რომ პოლიტიკური მოტივაციით უკვე ქუჩაში ესხმიან ადამიანებს?

– ეს არის იმის შედეგი, რომ ხელისუფლება ეწევა აგიტაცია-პროპაგანდას, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ მოღალატე ძალაა და ყველა განსხვავებულად მოაზროვნის მისთან აფილირება ხდება. ბევრს შეიძლება გულუბრყვილოდ სჯერა, რომ მართლა გაყიდა წინა ხელისუფლებამ დავითგარეჯი და მართლა დაიწყო ომი რუსეთის წინააღმდეგ.

იქიდან გამომდინარე, რომ ვახო სანაია საქმიანობს ხელისუფლებისადმი კრიტიკულად განწყობილ ტელევიზიაში, ამიტომ მოხდა თავდასხმა. მეორე ვარიანტია ის, რომ ხელისუფლებამ შექმნა ნიადაგი, რომ მოკრიმინალო ელემენტებით ადამიანებს გაეხსნათ ხელ-ფეხი. გახსოვთ კორცხელის ინციდენტი კამერების წინ, მაგრამ არავინ დააპატიმრეს. დაუსჯელობის სინდრომია და მოკრიმინალო ელემენტები ამ გზით ცდილობენ თავის დამკვიდრებას.

– ხელისუფლებაში თქვეს, რომ ჟურნალისტებიც იყენებენ სიძულვილის ენას და ა. შ. რა გამოხმაურებებიც მოყვა „ოცნების“ მხრიდან, ეს რაზე მეტყველებს?

– არანაირ სიძულვილის ენას არ იყენებენ. კი, კრიტიკულად არიან განწყობილნი, მაგრამ არავინ არ იგინება და ილანძღება. უნდათ, შექმნან ის შთაბეჭდილება, რომ ნამდვილი ოპოზიცია კი არაა, არამედ დესტრუქციული ძალაა. მასმედიის წარმომადგენლების მიმართ კი უნდა შექმნან შთაბეჭდილება, რომ ისინი სიძულვილის ენას იყენებენ და მათ ჟურნალისტებს ვერ ვუწოდებთო.

მე პირადადაც მქონია ქუჩაში დაპირისპირება. ან რაღაცა წამოუძახებიათ, ან რაღაც მსგავსი. ვცდილობ ხოლმე, ყურადღება არ მივაქციო, მაგრამ ყოფილა შემთხვევა, როდესაც საქმე ლამის ფიზიკურ დაპირისპირებამდე მისულა.

– „ნაციონალური მოძრაობის“ კონტექსტში?

– კი. რატომღაც მიშას ექსპერტს მეძახიან. ადამიანებს, ვისაც შესაბამისი განათლება არ გააჩნია, ასე მოქმედებენ. ასევე თვითდამკვიდრების მექანიზმია.

ერთი მხრივ ლაო ძის პრინციპია, რომ ნუ შეეპასუხები უგუნურს, რათა თვითონ არ დაემსგავსო მას, ხოლო არისტოტელეს მიდგომაა, რომ თუ გინდა სინდისი აღუძრა ნაძირალას, მას სილა უნდა გაარტყაო. სილა არავისთვის გამირტყამს, მაგრამ პასუხი გამიცია. ხშირად პასუხი არ გამიცია, განსაკუთრებით ქალებისთვის. ჩემ სახლთან არის რამდენიმე ქალი, რომლებიც ამბობენ, მიშას ექსპერტიო და პასუხს არ ვცემ ხოლმე.

სანაიას მაგალითი „კაი ბიჭურ“ ვარიანტშიც სირცხვილია, ვგულისხმობ იმას, როდესაც სამი ადამიანი ერთ ადამიანს თავს რომ ესხმის. ეგონათ გაუვიდოდათ და ხელს დააფარებდნენ. დაკავებულები არიან, მაგრამ არ ვიცით, როგორ განვითარდება პროცესი. როგორც კორცხელის ინციდენტზე არ მივიდა საქმე ბოლომდე, შესაძლოა აქაც ასე იყოს. გახსოვთ, რომ ნაციონალური მოძრაობის 19 ოფისზე განხორციელდა თავდასხმა, მაგრამ საქმე ბოლომდე არ მისულა.

– თუ სწორად მახსოვს, მაშინაც ღარიბაშვილი იყო პრემიერი.

– დიახ, ზუსტად მაგის თქმა მინდოდა. საზოგადოებას მინდა შევახსენო, რომ მაშინ ღარიბაშვილმა თქვა, რომ მოსახლეობამ ადეკვატური პასუხი გასცა პროვოკატორებსო და მადლობა უნდა თქვან, რომ იგივეს არ უშვრება ხალხი ამ პარტიას, რასაც ისინი ხალხს უშვრებოდნენო.

– ვახსენეთ სანაიას ეპიზოდი და ახლა რაც მოხდა, ეს ნიშანდობლივი ხომ არ არის და ხომ არ ნიშნავს იმას, რომ ღარიბაშვილის ხელწერამ მოქმედება დაიწყო?

– კი, ბატონო, ესეც არის და ღარიბაშვილის ფაქტორიც მოქმედებს, მაგრამ კორცხელის ინციდენტის დროს კვირიკაშვილი იყო პრემიერი. ამას გარდა, ბევრი ასეთი ინციდენტი იყო.

მამუკა მდინარაძე: „მოლაპარაკებებისთვის მზად ვართ“

– ალტერნატივა არ აქვს არც დიალოგს, არც მოლაპარაკებას და არც კანონის უზენაესობას – მზად ვართ, მოლაპარაკების მაგიდასთან ვიყოთ, ჩვენი წილი პასუხისმგებლობა ავიღოთ.

ამის შესახებ ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ მამუკა მდინარაძემ 25 თებერვალს საღამოს პარტიის ოფისში უმრავლესობის სხდომის დასრულების შემდეგ ჟურნალისტებთან განაცხადა.

მისივე თქმით, ქვეყანამ რომ განაგრძოს დემოკრატიული, სტაბილური განვითარება, პასუხისმგებლობა ოპონენტებმაც უნდა გაიზიარონ.

– რა თქმა უნდა, ჩვენ მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს შევეხეთ. უმრავლესობა იმ აზრზეა, რაც მთელი ამ დღეების განმავლობაში ხმოვანდებოდა, რაც საბედნიეროდ, ჩვენი საერთაშორისო პარტნიორების, მეგობრების, მთავარი სტრატეგიული მეგობარი ქვეყნის ოფიციალურ პოზიციას ემთხვევა. ესაა ის, რომ ალტერნატივა არ აქვს, არც დიალოგს, არც მოლაპარაკებას და არც კანონის უზენაესობას. მე მგონი, ამით ყველაფერია ნათქვამი.

ჩვენ ყოველთვის მზად ვიყავით და ახლაც მზად ვართ, რომ მოლაპარაკების მაგიდასთან ვიყოთ, ანუ იქ, სადაც ვიყავით. ჩვენ არსად წავსულვართ. მზად ვართ, ჩვენი წილი, უფრო მეტი პასუხისმგებლობა ავიღოთ იმასთან დაკავშირებით, რომ ქვეყანამ განაგრძოს დემოკრატიული, სტაბილური განვითარება და არ იყოს შეფერხება ვინმეს პროვოკაციული მოქმედებების გამო.

ეს პასუხისმგებლობა უნდა გაიზიარონ, მათ შორის, ჩვენმა ოპონენტებმა, რომ სტაბილური და დემოკრატიული განვითარება ქვეყანამ განაგრძოს, – განაცხადა მდინარაძემ.

„ყველაფერი კეთდება, რომ საქართველოში ვაქცინა მალე შემოვიდეს“

– არ მაქვს ინტერესი იმისა, რაიმე ან ხელოვნურად მივჩქმალო, ან ხელოვნურად გავაბუქო – ვიცი, ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ საქართველოში ვაქცინა რაც შეიძლება მალე შემოვიდეს.

ამის შესახებ პარლამენტის ვიცე-სპიკერმა დავით სერგეენკომ ჟურნალისტებს განუცხადა.

სერგეენკოს თქმით, ახლა ვაქცინაციის პროცესი მთელი მსოფლიოსთვის ყველაზე მთავარი რამ არის.

– ერთადერთი გამონაკლისი ალბათ ისრაელია, ვინც დაიწყო პირველი ვაქცინის კეთება, სერიოზული პრობლემა აქვთ მეორე დოზის მიწოდებაზე. ვაქცინაციის პროცესი წყნარად და მშვიდად არსად არ მიდის. გასულ კვირას იაპონიის ელჩს შევხვდი, რომელმაც მითხრა, რომ ვაქცინაცია იაპონიაში ორი კვირის წინ დაიწყო – აი, ასეთ განვითარებულ და დისციპლინებულ ქვეყანაში. შეიძლებოდა ჩვენ იმ ქვეყნების რიგში ჩავმდგარიყავით, ვინც ვაქცინაცია ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ არაკვალიფიცირებული ვაქცინებით, მაგალითად, ჩინურითა და რუსულით დაიწყო, მაგრამ ეს, ჩემი აზრით, სწორი საქციელი არ იქნებოდა, – განაცხადა დავით სერგეენკომ.

ღარიბაშვილი: „ვახო სანაიას ოჯახზე თავდამსხმელები მთელი სიმკაცრით დაისჯებიან“

პრემიერ-მინისტრი ჟურნალისტ ვახო სანაიასა და მის ოჯახზე განხორციელებულ ძალადობას გამოეხმაურა. ირაკლი ღარიბაშვილი გმობს ყოველგვარ ძალადობას და აღნიშნავს, რომ სახელმწიფოს მხრიდან რეაგირება იქნება ადეკვატური.

– მსურს, გამოვეხმაურო ჟურნალისტ ვახო სანაიაზე და მის ოჯახზე განხორციელებულ თავდასხმას. ერთმნიშვნელოვნად ვგმობ ყოველგვარ ძალადობას ნებისმიერი მოქალაქის, მით უფრო, მედიის წარმომადგენლების მიმართ.

მადლობას ვუხდი შსს-ს თავდამსხმელების ოპერატიულად დაკავებისთვის. გარწმუნებთ, სახელმწიფოს მხრიდან პასუხი იქნება ადეკვატური და დამნაშავეები კანონის მთელი სიმკაცრით აგებენ პასუხს, – აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა.

ესტონეთის, ლატვიის და ლიეტუვის საგარეო მინისტრები: „ნიკა მელიას დაკავებით შეშფოთებულნი ვართ“

ლიეტუვის საელჩომ საქართველოში ფეიბუქის გვერდზე ბალტიის ქვეყნების საგარეო საქმეთა მინისტრების ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნა.

მათი შეფასებით, ნიკა მელიას დაკავება მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის დიალოგის შესაძლებლობისთვის ძირის გამოთხრის რისკს ქმნის.

„ჩვენ, ესტონეთის, ლატვიისა და ლიეტუვის საგარეო საქმეთა მინისტრები სერიოზულ შეშფოთებას გამოვთქვამთ საქართველოში შექმნილი პოლიტიკური ვითარების გამო და მოვუწოდებთ ყველა პოლიტიკურ ძალას, იმოქმედონ თავშეკავებულად, დეესკალაცია გაუწიონ სიტუაციას და მოძებნონ კონსტრუქციული გადაწყვეტა საქართველოსა და მისი ყველა მოქალაქის ინტერესების გათვალისწინებით.

ჩვენ ხაზს ვუსვამთ კანონის უზენაესობისა და პოლიტიკური დიალოგის კრიტიკულ მნიშვნელობას არსებული კრიზისის გადასაჭრელად.

ჩვენ შეშფოთებულნი ვართ ნიკა მელიას, მთავარი ოპოზიციური პარტიის, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ლიდერის დაკავებით. ეს ქმნის მმართველ პარტიასა და ოპოზიციას შორის დიალოგის შესაძლებლობისთვის ძირის გამოთხრის რისკს.

ჩვენ გვჯერა საქართველოს, როგორც თავისუფალი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული სახელმწიფოს, მომავლის.

ჩვენ მხარს ვუჭერთ საქართველოს მოქალაქეების არჩევანს, დააკავშირონ თავიანთი ქვეყნის მომავალი დემოკრატიულ ტრანსატლანტიკურ საზოგადოებასთან და მიზნად დაისახონ ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაცია. ჩვენ ხაზს ვუსვამთ პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელობას საგარეო პოლიტიკის ამ ამბიციური მიზნების მისაღწევად.“

ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი

საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარეკლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეგერაშვილი

ვებგვერდი: akhalitaoba.ge ელ.ფოსტა: axtaoba@mail.ru
ტელეფონი: 599-532-690

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მელიას დაკავებით ხელისუფლებამ რუსეთს მონური მორჩილება დაუმტკიცა“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს რომან გოცირიძე პასუხობს.

რომან გოცირიძე: „ივანიშვილი ჩრდილშიც ვერ ახერხებს დამალვას“

– ბატონო რომან, როგორ აფასებთ ბოლო დღეებში განვითარებულ პროცესებს? საუბარია, რომ ხელისუფლების ამ გადაწყვეტილებამ, ქვეყანა სერიოზულად დააზიანაო. რას იტყვით თქვენ?

– ამ უგუნურმა გადაწყვეტილებამ, პირველ რიგში, ძალიან დააზიანა ქვეყანა და არა ოპოზიცია. მიუხედავად იმისა, რომ ნიკა მელია დააპატიმრეს. ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ქვეყანა ნელ-ნელა დგება რუსეთისა და ბელორუსიის მსგავსი სახელმწიფოების რიგში, სადაც პოლიტიკურ ლიდერებს იჭერენ. მსოფლიოს რომელ ქვეყანაშია დაკავებული პოლიტიკური ლიდერი?! ერთი რუსეთში ნავალნი და მეორე, ბელარუსში ჰყავს ლუკაშენოს დაპატიმრებული ოპოზიციონერი ლიდერები. ჩავდექით ავტორიტარული რეჟიმების რიგში. ეს ძალიან ცუდ გავლენას მოახდენს ჩვენი ქვეყნის განვითარებაზე. ვინ შემოვა საქართველოში? ვინ ჩადებს ინვესტიციას? როდესაც ასეთი სერიოზული პოლიტიკური კრიზისია და ხელისუფლება ჩამოშლის პირასაა. აგერ ვხედავთ, რომ პრემიერ-მინისტრი გაიქცა, გაასწრო სიტუაციას და რომ იტყვიან, უგანა ივანიშვილს. მას პერსონალურად არ ჰქონდა რეპრესიების გატარების რესურსი. გახარიამ ყველა რესურსი ამოწურა, რომელიც ძალის გამოყენებასთან იყო დაკავშირებული.

– დაასწრო და განერიდა გახარია სიტუაციას?

– განერიდა ამ ვითარებას. მან ერთხელ სერიოზული დანაშაული ჩაიდინა და მეორედ ამის რესურსი არ ჰქონდა. ივანიშვილმა კი თავისი მარიონეტი დასვა პრემიერ-მინისტრად. ვნახეთ ისიც, რაც ღარიბაშვილმა ჩაიდინა. ამ სიტუაციაში რა ინვესტორების შემოსვლაზეა საუბარი, ვინც აქ არიან, ისინიც გაიქცევიან. ამ ყველაფერთან ერთად, ასევე, შიდა სამზარეულო კრიზისია.

– დასავლელი პარტნიორების განცხადებებს როგორ აფასებთ?

– ძალიან ცუდი პოლიტიკური შედეგები მოიტანა ამ გადაწყვეტილებამ. ძალიან მძიმე განცხადებები კეთდება, რომელიც უკვე ქვეყნის მომავალს აყენებს ეჭვქვეშ. თუკი წინა შემთხვევაში არ იყო ასეთი მკაცრი შეფასებები, თუმცა მაშინაც იყო საუბარი არადემოკრატიულ გადაწყვეტილებებზე, რომ სასამართლო არ იყო დამოუკიდებელი. ხომ ვნახეთ, ამ განცხადებებს რაც მოყვა? ძალიან მწვავე იყო მაშინდელი განცხადებებიც და ამ ფონზე იძულებული გახდა ხელისუფლება, სხვაგვარად ემოქმედა. გაათავისუფლეს უგულავა და ოქრუაშვილი და ასევე შეცვალეს საარჩევნო კანონი და ის გახდა პროპორციულთან მიახლოებული. აი დღევანდელი განცხადებები კი აბსოლუტურად სხვაგვარია.

– უფრო მკაცრია?

– სულ სხვა ჭრილშია ეს განცხადებები გაკეთებული. აბსოლუტურად სხვა ხარისხშია. რასაც ადრე ამბობდნენ, ისიც ძალაში რჩება. კიდევ უფრო გაღრმავდა და კიდევ უფრო ნათელი გახდა მათი დამოკიდებულება. ისინი პირდაპირ ამბობენ, რომ საქართველოსნაირი ქვეყანა, არ არის ღირსი ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციისა. უკვე ეჭვქვეშ დადგა ის განცხადებები, რაც კეთდებოდა მრავალი წლის განმავლობაში, რომ ნატოს კარი საქართველოსთვის ღიაა. საქართველოს მივიღებთ ნატოში, როდესაც ის ამისთვის გახდება მზადო. მზად ყოფნას აქვს ორი კომპონენტი, ერთი, სამხედრო კომპონენტი, რომელიც დღესაც აკმაყოფილებს ნატოს სტანდარტებს და მეორე კომპონენტი ეს არის დემოკრატიის ხარისხი.

„მელია თუ არ დატოვებს საპატიმროს, მაშინ დაიწყება ძალიან მძიმე პროცესი ხელისუფლების მიმართ“

– მეორე კომპონენტში უკან დავიხიეთ?

– სერიოზულად დავიხიეთ. ქვეყანა, სადაც მთავარი ოპოზიციურ პარტია და მთელი ოპოზიცია კანონგარეშედ არის გამოცხადებული და კრიმინალებს უწოდებენ, დასდევენ, აპატიმრებენ, თანაც აპატიმრებენ ისეთი ფორმით, მსოფლიოს არც ერთი სააგენტო არ დარჩენილა, ამაზე რომ არ დაეწერა. ნიკა მელიას დაპატიმრების შესახებ ინფორმაცია გუგლში იძებნება დაახლოებით 4 მილიონი მოხსენიებით. არ დარჩენილა რეგიონალური პრესაც კი ევროპაში, ეს ამბავი რომ არ გაეშუქებინა.

– რა სანქციებზე შეიძლება იყოს საუბარი?

– სწორედ ახლა, პირველად გაჩნდა ეს ტერმინი სანქციებთან დაკავშირებით. ეს ძალიან მძიმე იქნება ჩვენი ქვეყნისთვის. მე მიმაჩნია, რომ სანქცია უნდა იყოს პერსონალური, კონკრეტულ პიროვნებებს უნდა დაეკისროს და არა ქვეყანას. სავიზო და ფინანსური სანქციები, ოღონდ კონკრეტული პირების მიმართ. ის ფინანსური დახმარება, რაც მივიღეთ და რაც კიდევ უნდა მივიღოთ, ამას რომ საფრთხე დაემუქროს და შეჩერდეს, საქართველოს ბიუჯეტი მთლიანად ჩამოიშლება.

– შესაძლოა ივანიშვილსაც დაეკისროს სანქციებიო, ასეა?

– სწორედ ამ სანქციების კონტექსტში ალაპარაკდნენ ივანიშვილზე, რომელსაც მთელი თავისი ფინანსები განთავსებული აქვს დასავლურ ბანკებში და კორპორაციებში. მისი მთელი სიმდიდრე ის კი არ არის, რაც უძრავი ქონებაა და მიწები. მისი სიმდიდრის უდიდესი ნაწილი დევს დიდი კომპანიების აქციებში. დასავლეთში უკვე ალაპარაკდნენ ივანიშვილთან დაკავშირებით პერსონალური სანქციების შესახებ. ამიტომ ეჭვიც არ მეპარება, რომ ნიკა მელია ძალიან მალე დატოვებს საპატიმროს.

– თუ ასე არ მოხდა?

– თუ ასე არ მოხდა, მაშინ დაიწყება ძალიან მძიმე პროცესი ხელისუფლების მიმართ. მთელი ამ ამბების სავალალო შედეგი ის არის, რომ კიდევ ერთხელ გაახარა საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთი და კიდევ ერთხელ დაუდასტურა მონური მორჩილება. მიმდინარე პროცესები პირდაპირ ასხამს რუსეთის წისქვილზე და რუსეთის ინტერესებზე წყალს. დასავლეთისათვის იმედის გაცრუება, ნიშნავს რუსეთისათვის იმედის მიცემას. ასეთი არის ბალანსი. ნელ-ნელა ვემსგავსებით რუსეთის ესენგეში მყოფ პროსაბჭოთა ქვეყნებს.

– მივიღებთ ვადამდელ არჩევნებს? ეს ტერმინი უკვე დასავლელ პარტნიორებშიც გაჩნდა. ადრე ამაზე არავინ საუბრობდა.

– დიახ, მანამდე არავინ არ ახსენებდა სიტყვას რიგგარეშე არჩევნებს. ახლა კი გაჩნდა ეს ტერმინი დასავლელი პარტნიორების გამონათქვამებში. პირდაპირ მიანიშნებენ, რომ რიგგარეშე არჩევნები შესაძლოა იყოს ამ კრიზისიდან გამოსავალი. უნდა გათავისუფლდნენ პოლიტპატიმრები და დავსხდეთ მოლაპარაკების მაგიდასთან და მოვილაპარაკოთ რიგგარეშე არჩევნების თაობაზე.

– თქვენ ბრძანეთ, რომ შიდა სამზარეულოშიც სერიოზული დაძაბულობა აქვს ხელისუფლებასო. რატომ, რა ხდება?

– მათი საარჩევნო სიის პირველი ნომერი გაიქცა. ამაზე მეტი რა უნდა მოხდეს?! სიის პირველი ნომერი გაიქცა არჩევნებიდან სამ თვეში.

– რატომ შეირჩა ღარიბაშვილი?

– მორჩილების პრინციპით. ამან დაადასტურა ის, რომ არსადაც არ წასულა ივანიშვილი. მან გადაინაცვლა ღრმა ჩრდილში, მაგრამ ჩრდილში რომ ზიხარ, შენი სილუეტი მოჩანს, მზე რომ მოგადგება. ივანიშვილის ჩრდილს ყველა ვხედავთ, ის მკაფიოდ მოჩანს. ივანიშვილი ჩრდილშიც ვერ ახერხებს დამალვას.

„კალაძეს ვურჩევ, გახარიას მიბაძოს!“

ნათია ხურცილავა

„ლეიბორისტული პარტიის“ ერთ-ერთი ლიდერი ლაშა ჩხარტიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

ლაშა ჩხარტიშვილი: „ქვეყნის გახსნა-ჩაკეტვითა და კომენდანტის საათით ცდილობენ ქვეყნის მართვას. დღეს ამაზე დგას ეს მთავრობა“

– ლაშა, კახა კალაძის ოდნავ განსხვავებულ რიტორიკას ხელისუფლების სხვა წარმომადგენლებისგან თქვენ რითი ხსნით?

– კახა კალაძე გრძნობს, რომ „ქართული ოცნების“ გემი იძირება, თუმცა ბოლომდე ვერ ბედავს ბორტიდან გადახტომას. ყველა გრძნობს შიგნით თუ გარეთ, რომ ივანიშვილის რეჟიმი დასასრულისთვის ემზადება, მაგრამ მანამდე რეპრესიებით ცდილობენ გამყარებას. რეპრესიებით კი ვერავის ვერ შეაშინებენ, რადგან ამ ქვეყანაში დიქტატურა არავის გასვლია. კალაძეს რომ დავუბრუნდე, კალაძეს, როგორც ჩანს, თვითგადარჩენის ინსტინქტი აქვს. ცდილობს სამომავლოდ ადგილის დაბევებას, განსხვავებული იმიჯის შექმნას. ჩემთვის კი კალაძე კორუფციაში ჩაფლული ჩინოვნიკია თავისი 30-ათასიანი ნაგვის ურნებით იმ ქვეყანაში, სადაც ადამიანები უბრალოდ სკვერში იყინებიან და ბავშვებს შიათ.

თუმცა, რა თქმა უნდა, მასაც აქვს შანსი, გამოისყიდოს ეს ყველაფერი, თუკი დროულად გადადგამს ნაბიჯს.

– რა უნდა იყოს ეს ნაბიჯი?

– თანამდებობის დატოვება. ეს ნამდვილად იქნებოდა შემამსუბუქებელი გარემოება თუ მას უნდა განსხვავებული იმიჯი ჰქონდეს, მაგრამ ეს ახლა უნდა გააკეთოს. ერთი ფეხით ხელისუფლებაში ყოფნა და მეორეთი გარეთ, ღიმილის მომგვრელია და მეტი არაფერი.

მე არ გამოვრიცხავ, რომ კალაძემ გახარიას მიბაძოს, მაგრამ ჩემთვის გახარია, მიუხედავად მის მიერ გადადგმული ნაბიჯისა, არ

გამხდარა არც მისაღები პოლიტიკოსი და არც 20 ივნისი ჩამორეცხია მას. გახარიას მოუწევს ხალხისთვის პასუხის გაცემა, მაგრამ მან გარკვეულწილად შეიმსუბუქა თავისი პასუხისმგებლობა. თუ ასეთივე დროული იქნება კალაძის მოქმედება, ეს მხოლოდ მას წაადგება და მისთვის იქნება უკეთესი. მეორე მხრივ, ეს დააჩქარებს „ოცნების“ კრახს.

– რამდენად არის „ოცნების“ კრახი მოსალოდნელი, რადგან ისინი თვლიან, რომ არც ისე რთულად არის საქმე.

– მათ რაც არ უნდა ილაპარაკონ და თავი იმშვიდონ, ფაქტია, რომ საერთაშორისო არენაზე სრული კრახი აქვთ. არ დარჩენილა არც ერთი დასავლური უწყება, ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისა თუ ამერიკის შეერთებული შტატების მაღალჩინოსნები, რომ არ გამოსულიყვნენ და ღიად არ გაეკრიტიკებინოთ ხელისუფლება. ერთადერთი, პირადად ბაიდენი არ გამოსულა, თორემ დანარჩენი ყველა გამოვიდა უმწვავესი კრიტიკით. თუ ფიქრობენ, რომ ახლა ამერიკიდან და ბრიუსელიდან ჩამოვლენ და „ქართული ოცნების“ ოფისში შეიჭრებიან ხელკეტებით მათ „გასაროზგად“, ვარწმუნებ, ეს ფორმა არ იქნება გამოყენებული. დიპლომატიური ხელკეტებით უკვე იყო მათ სამარცხვინო ქმედებაზე პასუხი. თუმცა, ყველაზე დიდი ხელკეტი წინ არის – სახელად სანქცია.

– მაკა ბოჭორიშვილმა, პარლამენტის ევროინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარემ, ეს საფრთხე არ გვემუქრებაო.

– დიახ თუ პოლიტპატიმრებს დაუყოვნებლივ გაათავისუფლებენ და ვადამდელ არჩევნებს დანიშნავენ. წინააღმდეგ შემთხვევაში სანქციები გარდაუვალია. ამაზე უკვე ღიად ალაპარაკდნენ. თუმცა, ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმა უნდა დაინახონ, რომ ქართველი ხალხი არ აპირებს დიქტატურის შეგუებასა და ახალ საბჭოთა კავშირში ცხოვრებას. ხალხმა უნდა მოსთხოვოს ამ ხელისუფლებას თუნდაც იმ ყველაფერზე პასუხი, რაც პანდემიის შედეგად მიიღო ჩვენმა ქვეყანამ. არც ერთი ვაქცინა არ მიუღია ქვეყანას.

– განამ მიიღო ვაქცინა. გაუგებარია, თუნდაც ოპოზიცია რატომ არის წაყრუების პოზიციაში?

– სრულიად გასაგებია. პოლიტიკური მიზნებიდან სრულიად შეგნებულად ხდება ეს ყველაფერი. ეპიდემიის დასტაბილურება, როგორც ჩანს, არ არის ამ ხელისუფლების მიზანი. რაც უფრო რთული ვითარება იქნება, რაც უფრო ხშირად მოაწყობენ კოვიდაფეთქებას და ამის ნათელი მაგალითია ბათუმის არ ჩაკეტვა, ეს მათ აწყობთ, რომ შემდეგ საგულდაგულოდ ჩაგვკეტონ. მათი გეგმები სრულად არის გაშიფრული. სად წაიღეს მილიარდები, რატომ არ მოხმარდა ეს თანხები ვაქცინის შეძენას?! რატომ არ ეუბნებიან ხალხს, რა მოხდა?!

წარმოიდგინეთ, განამ მიიღო ვაქცინა სწორედ კოვაქსპლატფორმიდან, საიდანაც უნდა მიეღო საქართველოსაც ვაქცინა. რა მოხდა?! ვეკითხები მათ! ეს არის პირდაპირ შეგნებულად მიღებული გადაწყვეტილება, რომ ადამიანებს განაჩენი გამოუტანონ. გახსნა-ჩაკეტვითა და კომენდანტის საათით ცდილობენ პოლიტიკური პროცესების მართვას. ქვეყნის მართვას. დღეს, ამაზე დგას ეს მთავრობა. ამიტომ არაფერს აკეთებენ ვაქცინის შემოსატანად. შეიძლება ვთქვა, რომ დღეს ხელისუფლების ერთადერთი პოლიტიკური პარტნიორი კორონავირუსია. ვაფრთხილებ მათ, ეს კოვიდდიქტატურა არ გამოგივათ, ხალხი ამის წინააღმდეგ გაილაშქრებს.

„გახარია პასუხს აგებს, რიონის ხეობაში მიწა გაიყიდა“

ლევან ჩაჩუა: „თუ ღარიბაშვილს მიწებზე გული მართლა შესტკივა, დაინტერესდეს, რა მოხდა რიონის ხეობაში“

მარიამ მჭედლიშვილი

ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობის გეგმა ისევ დიდ მღელვარებას იწვევს როგორც მოსახლეობაში, ისე ეკოლოგებში. მოძრაობა „ქართული იდეა“ ამ ჰესის აგებას ეწინააღმდეგება იმიტომაც, რომ მას თან ერთვის რიონის ხეობის უცხოელებზე გასხვისება, თურქული კომპანია „ენკა“ კი რიონის ხეობაში მუსლიმანური სამლოცველოების აშენებასაც აპირებს. ამ და სხვა საკითხებზე „ახალი თაობა“ ესაუბრა „ქართული იდეის“ ლიდერს, **ლევან ჩაჩუას.**

– ვრცელდება ინფორმაცია, რომ 28 თებერვალს რიონის ხეობაში, სოფელ ოფურჩხეთში იმართება საპროტესტო აქცია ნამახვანჰესის მშენებლობის წინააღმდეგ. მასში თქვენც იღებთ მონაწილეობას. ამაზე არსებობს თურქული კომპანია „ენკას“ პოზიცია. კომპანია ამბობს, რომ საპროტესტო აქციების მონაწილეები ეწინააღმდეგებიან ქვეყანაში 800 მილიონდოლარიანი ინვესტიციის შემოსვლას. კომპანია მიიჩნევს, რომ პროტესტი ხელოვნურია.

– ინვესტიციის ოდენობა ვიღაცისთვის შთამბეჭდავია. ჩვენთვის ამაზე ამაღელვებელი და გულისამაჩუყებელია ის, რომ ქართული მიწებისთვის ჩვენი წინაპრები თავს სწირავდნენ. მათი დაღვრილი სისხლია ჩვენთვის უმთავრესი ინვესტიცია. ჩვენი მიწა არც 800 მილიონად, არც 8 მილიარდად და საერთოდ არანაირ ფასად არ უნდა იყიდებოდეს. ეს კომპანია „ენკა“, რომლის ოფისთანაც ვგეგმავთ აქციას, ჩვენ საშინელ პირობებს გვთავაზობს. ამ ინვესტორების მიერ აშენებულ ჰესში გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი ძალიან ძვირი იქნება – იმაზე ძვირი, ვიდრე იმპორტირებული ელექტროენერგიაა. ერთი წლის შემდეგ ამ ინვესტორებს უფლება ექნებათ, თავიანთი დენი არ მიჰყიდონ საქართველოს. თუ აშენდა, ჰესი დატბორავს კოლხეთის მთელ დაბლობს და შეუქმნის საფრთხეს რაჭას, რომელიც სეისმური ზონაა. ყველაზე მეტად გვაშფოთებს მიწის გასხვისება. საქართველოს მთავრობამ, გახარიას მეთაურობით, რიონის ხეობის 281 ჰექტარი ინვესტორს 99 წლით იჯარით მისცა, ხოლო 293 ჰექტარი – სამუდამოდ. კომპანიის შინაგანაწესის თანახმად, აქ სასადილოსა და მედპუნქტთან ერთად შენდება მუსლიმანური სამლოცველო.

– ამის გამო გახარიას გადადგომას მოითხოვდით. რამდენიმე დღეში ის გადადგა, მაგრამ, სხვა მიზეზით, პროექტი კი გრძელდება?

– გახარიაზე მოგვიანებით ვისაუბრებ. ახლანდელი პრემიერი ღარიბაშვილი სასაცილო განცხადებებს აკეთებს. ის ამბობს, მიწები გაიყიდაო.

– ალბათ, სააკაშვილის ხელისუფლებას გულისხმობს.

– მიწები გაიყიდა როგორც ნაციონალური მოძრაობის, ისე „ქართული ოცნების“ მმართველობის დროს. თუ ღარიბაშვილს მიწებზე გული მართლა შესტკივა, დაინტერესდეს, რა მოხდა რიონის ხეობაში.

– თქვენ რა იცით ამის შესახებ?

– ამ ყველაფერს გამოიძიებს ეროვნული ხელისუფლება. რიონის ხეობის გაყიდვის საკითხი გამოუძიებელი არ დარჩება. დოკუმენტები დაიდება. ამაზე გახარიაც აგებს პასუხს და სხვებიც. ახლა გვაქვს ინფორმაცია იმაზე, რომ ნახევარი მილიონი ჰექტარი გასხვისდა სიმბოლურ ფასად. ამით კიდევ ერთხელ გამოჩნდა, როგორი გამყიდველი პოლიტელიტა ჰყავს საქართველოს. ხალხი სხვა თემებითაა დაკავებული, ერთმანეთს სხვა რამის გამო უპირისპირდება. ამ დროს გასხვისებულ მიწაზე უცხოელები იწყებენ მშენებლობას, რომელიც შემდეგ ზიანს მოუტანს საქართველოს ბუნებას და ეკონომიკას.

– ხალხი ერთმანეთს მართლაც უპირისპირდება ბოლოდროინდელი მოვლენების გამო. პოლარიზებულ კამათში ჩაებნენ ისეთი ადამიანებიც კი, რომლებსაც პოლიტიკა არ აინტერესებდათ.

– ხელოვნურად მოხდა ტემპერატურის აწევა. ხალხი მიჰყვება ტელეშოუებს და პროვოცირებულ დუღილს.

– კრიზისი და დაპირისპირება გაღრმავდა ნიკა მელიას დაკავების შემდეგ.

– ნიკა მელიას დიდხანს ციხეში ყოფნა არ მოუწევს. 49 მილიონის ქურდი უგულავა გამოუშვეს, ვანო მერაბიშვილი კი ვადაზე ადრე გაათავისუფლეს და ნიკა მელიას, მით უმეტეს, გამოუშვებენ. ის, რაც მოხდა, ჩაფიქრებული იყო. ჯერ მთელი საქართველო მელიას სამაჯურის მოხსნაარმოხსნაზე ალაპარაკდა, შემდეგ – გირაოზე, ბოლოს კი, დაკავებაზე. ნიკა მელიას არნახული რეკლამა გაუკეთეს. პოლიტელიტა ჩამოშლილი იყო და განახლდა.

– რას გულისხმობთ?

– ნიკა მელიაც გმირად გამოიყვანეს და ირაკლი ღარიბაშვილიც.

– ირაკლი ღარიბაშვილს შინ და გარეთ ლამის ყველა აკრიტიკებს.

– ყველა არ აკრიტიკებს. ვიღაცას მოსწონს მისი კუნთების თამაში. ნიკა მელიას უქმნიან იმ კაცის იმიჯს, რომელიც არ ყოფილა დაკავშირებული სააკაშვილის რეჟიმთან. ეს სიცრუეა. უშიშროების აკადემიის დამთავრების შემდეგ მელია უშიშროების სამინისტროშიც მუშაობდა, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატშიც, ეროვნული აღსრულების ბიუროშიც. 2010 წელს იგი იყო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პრობაციის ეროვნული სააგენტოს უფროსი. ეს ის დროა, როცა ჩვენ, რამდენიმე ადამიანი, პოლიტიკური ნიშნით დაგვაპატიმრეს. კარგად ვუწყით, როგორ აწამებდნენ, აუპატიურებდნენ და ართმევდნენ ქონებას იმ დროს მოქალაქეებს ამ უწყებაში.

– გახარიასაც უკეთდება რეკლამა.

– გახარია გათამაშებული კარტია. მას ბრალი ედება მიწის გასხვისებაში, ასევე, ახალგაზრდებისთვის თვალების დათხრაში და სხვა. მას ჰქონდა დაპირისპირება სხვა ჯგუფებთან „ოცნების“ შიგნით. გახარიას არ ჰყავდა საკუთარი გუნდი და ბოლოს წავიდა. ბურთი და მოედანი დარჩათ სხვა გუნდებს. განსაკუთრებით დაწინაურებულია კობახიძე-თალაკვაძე-მდინარაძის ჯგუფი. ამბობენ, რომ გახარია პარტიას შექმნის. არა მგონია. მე ქართული საზოგადოების ზომბირება მაწუხებს.

– ზომბირება?

– დიახ. ტელეზომბირება. საზოგადოებას აბრუებენ, ატყუებენ, პრობლემებიდან აბრუნებენ. ხალხს ერთმანეთს აჯახებენ იმისთვის, რომ ხან „ქართულმა ოცნებამ“ ჭამოს, ხან – ნაციონალურმა მოძრაობამ, თვითონ ეს ადამიანები კი მუდმივად მშივრები იყვნენ.

„მასირებული შეტევა მიდის ხელისუფლებაზე და აპოკალიფსური სურათი იხატება“

დავით ლორთქიფანიძე: „ოპოზიციაც არის პასუხისმგებელი, მაგრამ ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ ქვეყანა არ შევიდეს ასეთ კატაკლიზმში“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი **დათო ლორთქიფანიძე** პასუხობს.

– ბატონო დათო, პოლიტიკური ვითარება შეიცვალა, კრიზისი გამწვავდა. ვითარებიდან გამოსავალს როგორ ხედავთ? ნაცმოძრაობა აცხადებს, რომ მოლაპარაკებას დათანხმდება, თუ მათ მხარეს მელია იჯდება. არადა, მელია დაპატიმრებულია.

– ნაცმოძრაობა ცდილობდა საქართველოში შეექმნა ის ვითარება, რაც დღეს ქვეყანაშია. იცოდნენ, რომ იმ დანაშაულისთვის, რომელიც ჩაიდინა მელიამ, პასუხისმგებლობის აღება მოუწევდა, მის მიმართ სახელმწიფო კანონით გათვალისწინებულ ზომებს მიიღებდა. იმიტომ მელია და ახლა ერთ პლატფორმაზე მდგომი ის ოპოზიციური სპექტრი (როგორც ჩანს, არც ადრე იყო ერთმანეთისაგან დისტანცირებული) შეგნებულად დაადგა ვითარების გამწვავების გზას.

ის მოცემულობა, რომელიც ქვეყანაში შეიქმნა, მელიას სახელმწიფოსთან დამოკიდებულებიდან გამომდინარეა. ფაქტობრივად, ისინი ულტიმატუმის ენით საუბარს აგრძელებენ. თქვენ გამოგრჩათ, ისინი მხოლოდ იმას კი არ ამბობენ, მოლაპარაკების მაგიდის ერთ მხარეს მხოლოდ მელია უნდა იყოსო, არამედ მელიასთან ერთად ყველა პოლიტპატიმარი უნდა გათავისუფლდეს და საპარლამენტო არჩევნები უნდა დაინიშნოსო.

ნაცებს ეს ორი პირობა აქვთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ხელისუფლებასთან სასაუბროდ არ დავსხდებითო. მინდა ვაღიარო, რომ საკმაოდ არაორდინარული და არასასიამოვნო სიტუაციაა. ამ ვითარებაში ჩვენ ხელისუფლებას განსაკუთრებული ყურადღება მართებს.

– რას გულისხმობთ?

– როგორც ვხედავთ, ეს ხალხი მელიასა და ნაცმოძრაობის გარშემოა შეკრებილი და მზად არის ყველანაირი ესკალაცია მოახდინოს, მათ შორის, დაძაბულობა ძალიან მაღალ ხარისხში აიყვანოს. ვფიქრობ, ისინი არაფერზე უკან არ დაიხევენ.

– 30 წელია რევოლუციურ პროცესებს თავი ვერ დავაღწიეთ. როდესაც ამბობთ, არაორდინარული ვითარებაა, გულისხმობთ იმას, რომ შეიძლება, საქმე რევოლუციამდე მივიდეს?

– არა. არაორდინარულ ვითარებაში ვგულისხმობ იმას, რომ ეს ადამიანები ისეთ პირობებს აყენებენ, რომლის განხორციელება ნებისმიერ ხელისუფლებას გაუჭირდება. ფაქტობრივად, ულტიმატუმის ენით გვესაუბრებიან – ან გააკეთებს ამას, ანდა ჩვენ სასაუბროდ არ დავსხდებითო. ამის იქით რა არის, ხომ ვერ მეტყვით?!

– რა არის?

– ამის იქით არის პროვოკაცია და დაძაბულობა. ჩვენ სამხრეთელი ხალხი ვართ და თუნდაც ერთ მიზანმიმართულ პროვოკაციასა და დაძაბულობას რა შეიძლება მოჰყვეს, ჩვენ ეს არ გვესწავლება.

– პასუხისმგებლობა ვის ეკისრება?

– პასუხისმგებლობა ხელისუფლებაზეა. ოპოზიციაც არის პასუხისმგებელი, მაგრამ ხელისუფლებას ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ ქვეყანა არ შევიდეს ასეთ კატაკლიზმში. დარწმუნებული ვარ, ოპოზიციას ხსნად მხოლოდ ეს გზა მიაჩნია. არ ვიტყვი იმას, რომ თოფის სროლა უნდათ, მაგრამ ცდილობენ, იმ დონის დაძაბულობის ესკალაცია მოახდინონ, ხელისუფლება იძულებული გახდეს, მათი არასწორი მოთხოვნები დაუკმაყოფილოს. არადა, ჩანს, მათ ხალხის მხარდაჭერა არ აქვთ. ამიტომ ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ დაძაბულ ვითარებაში ისეთი პროვოკაცია მოხდეს, რომელიც ხალხს ქუჩაში გამოიყვანს და ხელისუფლებას სერიოზული პრობლემები შეექმნას.

– თოფის სროლები ბევრჯერ გვინახავს ბოლო 30 წლის განმავლობაში, როცა ახლად ჩასახულ დამოუკიდებელ სახელმწიფოს ესროლეს. შეიძლება ახლაც მივიდეს საქმე თოფის სროლამდე?

– საერთოდ, მე მინდა, ასეთი სცენარი გამოირიცხოს. ღმერთმა ასეთი პროცესებისაგან ჩვენი ქვეყანა დაიფაროს, მაგრამ ვფიქრობ, მათ საქმე ესკალაციისკენ მიჰყავთ. პერსონიფიცირების აუცილებლობა არ არის, მაგრამ ასეთ სიტუაციას ქმნიან. ამერიკასა და ევროპაში მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციები რიგ შემთხვევებში, სამწუხაროდ, რეალობასთან ახლოს არ არის.

რეალური ევროპა და ამერიკა პროკურატურისა და სასამართლოს საქმეებში ჩაურევლობას ნიშნავს, ამიტომ ისეთი განცხადებები, რაც მათი მხრიდან კეთდება, რეალურ ამერიკასა და ევროპას არ შეესაბამება.

– ბოლო დროს მელიას დაპატიმრებამ დასავლელ პოლიტიკოსებს ენა ამოადგმევინა. რით ხსნით, რომ ამერიკაში კაპიტოლიუმზე შეტევა ძალიან მკაცრად ისჯება და შიდა ტერორიზმად ცხადდება, ხოლო საქართველოს მთავრობის სასახლეზე შეტევა და მელიას დაკავება მკაცრი კრიტიკის საგანი ხდება?

– კაპიტოლიუმზე შეტევა, რა თქმა უნდა, კანონით დასჯადი ქმედებაა. ჩვენთან პარლამენტზე შეტევაც დასჯადი ქმედებაა. ახლა ჩვენს დიპლომატიური კორპუსის, საგარეო საქმეთა სამინისტროსა და ყველა იმ სტრუქტურის ვალდებულებაა დასავლეთის მაქსიმალური ინფორმირება, დღეს ყოფილი მინისტრები, ყოფილი კონგრესმენები აქტიურობენ.

– დღემდე ევროკავშირისა და ამერიკის ელჩები ნეიტრალურ პოზიციას იჭერდნენ, მაგრამ მელიას დაპატიმრებას უარყოფითად შეხვდნენ. მათ განცხადებაში მხარდაჭერის ნოტები იგრძნობოდა.

– ამის პასუხი ჩემს პასუხებში შეიძლება ვეძიოთ. ისინი სათანადოდ ინფორმირებული არ არიან. ერთ-ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენელი, მელია ღიად, საჯაროდ, დეკლარირებულად, მასმედიის საშუალებებით ამბობს, რომ ის საქართველოს კანონს არ დაემორჩილება, კანონის მოთხოვნას არ შეასრულებს. ჩემთვის აბსოლუტურად წარმოუდგენელია ის, რომ სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებას ეწინააღმდეგებიან.

ძალიან მარტივად რომ ვთქვათ, ამისთვის არსებობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. თუ საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ მოგწონს, ევროსასამართლოში გაასჩივრე. ნაცოპოზიციას ყველაფერი ევროპული უნდა, მაგრამ ის არ უნდა, რაც ევროპაშია მიღებული, რითაც მთელი ცივილიზებული ევროპა მოქმედებს.

– პროცესები ასე რომ არ განვითარებულიყო და მომავალშიც ვითარება რომ არ გამწვავდეს, ამის პრევენცია რა არის?

– არც ერთ სახელმწიფო უწყებას არ ვსაყვედურობ, რადგან არ ვიცი, დეტალურად ვის რა ზომები აქვს მიღებული. დარწმუნებული ვარ, რომ სათანადო წერილობითი ინფორმაცია ჩვენს უცხოელ მეგობრებს მიაწოდეს, მთავრობისა თუ საგარეო უწყების წარმომადგენლების შეხვედრები დიპკორპუსის წარმომადგენლებთან იქნებოდა.

– თქვენ თქვით, ინფორმაციის მიწოდების პრობლემაა. კი მაგრამ, რას აკეთებს საგარეო უწყება, საქართველოს დიპლომატიური კორპუსი უცხოეთში, ან ელჩები რატომ არ მიიწვიეს და არ ჩააყენეს საქმის კურსში?

– მე არ ვარ საქმის კურსში, მათ დეტალურად რა მოქმედებები აქვთ განხორციელებული, მინდა ასე იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ დღეს ასეთ მოცემულობაში ვართ – ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა გააკეთა განცხადება.

– ცნობილმა კონგრესმენმა კინზინგერმა გააკეთა განცხადება. თუ მიაჩნიათ, რომ სწორი ქმედებები განხორციელდა, რატომ არ გაეგზავნათ ამ პიროვნებებს მასალები, ვიდეოკადრები, განცხადებები, პროკურატურის მასალები? რა არის მანდ დასამალი?

– ზუსტად მაგას ვამბობ. ალბათ, გაგზავნილი იქნება, მაგრამ მე პასუხი არ მაქვს. პასუხი ჩემი ხელისუფლების სათანადო თანამდებობის პირებისაგან უნდა იყოს. მათ უნდა განმარტონ. მეგობარი სახელმწიფოს პრეზიდენტ ბაიდენის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში შეშფოთებას გამოთქვამს მელიას დაპატიმრების გამო, ამასთან დაკავშირებით დათო ლორთქიფანიძე აქედან რა პასუხს გასცემს, არავითარი მნიშვნელობა არ ექნება, თუ მას პასუხს არ გასცემს ჩვენი საგარეო უწყება, ჩვენი ელჩი აშშ-ში.

– რამე საბოტაჟს ხომ არ აქვს ადგილი? პროტესტს ხომ არ გამოთქვამენ იმის გამო, რომ გახარია წავიდა?

– ამ შეთქმულების თეორიაში მე თქვენ ვერ ჩაგყვებით, მაგრამ ქვეყნის ახალ პრემიერ-მინისტრს, რომელიც ორი დღეა შეუდგა თავისი მოვალეობის შესრულებას, 24-საათიან რეჟიმში მოუწევს მუშაობა, რომ ყველა ნიუანსი, რომელიც ამ თემებთანაა დაკავშირებული, პირად კონტროლზე აიყვანოს.

სიტუაცია პირადად ბატონმა ღარიბაშვილმა უნდა აკონტროლოს. დღეს მასირებული შეტევა მიდის ხელისუფლებაზე და აპოკალიფსური სურათი იხატება, ამ დროს ჩვენ ვხედავთ, რომ ერთი და იგივე, მაქსიმუმ 30 ადამიანს, რომლებიც ჩვენი ხელისუფლების მოქმედებებს აპროტესტებენ, დაწყებული ბათუმიდან, დამთავრებული თელავით, ერთი და იგივე ადამიანები ჩანან კადრებში. ისინი დილით არიან ბათუმში, შუადღეზე – ქუთაისში, საღამოს თბილისსა და თელავში.

– ნაცმოძრაობის მხარდამჭერებს მელიას დაპატიმრება გაუხარდათ (ახლა რეგიონში ვიმყოფები და ვესაუბრე), ამას მოჰყვება ხელახალი არჩევნები და ხელისუფლების ცვლილებაო.

– მათ ასეთი მრწამსი აქვთ. ჩვენ გვაქვს მრწამსი, რომ ქვეყანაში არეულობა არ გვინდა. მათი მხარდამჭერები თბილისშიც არიან გახარებული. ფიქრობენ, რომ ამას მოჰყვება დიდი საზოგადოებრივი მღელვარება. დღეს გაკეთდა 20 პროფესორ-მასწავლებლის განცხადება, სადაც ისინი ითხოვენ, სახელმწიფომ მიიღოს ზომები და პოლიტპატიმრები დროზე გაათავისუფლოს. ყველა საინფორმაციო საშუალებაში, რომელიც ოპოზიციურ სპექტრზე მუშაობს, ამასთან დაკავშირებით დილიდან ხმაურია.

– ეს პროფესორებიც ნაცოპოზიციაზე მუშაობენ?

– აჟიოტაჟია ატეხილი, მაგრამ ხელმომწერ პროფესორებს არ ასახელებენ. მე დავინტერესდი და დავადგინე, რომ 30-მდე ხელმომწერია. ხელმომწერების 90% ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესურაა. ხელმომწერები არიან თავისუფალი, ანუ ბენდუქიძის უნივერსიტეტიდან. ერთეული პირები არიან სხვა უნივერსიტეტებიდან. ხელს აწერს გიორგი პაპუაშვილი, რომელიც იყო საკონსტიტუციო სასამართლოს თავმჯდომარე ნაცების მხარდამჭერი და აპოლოგეტი. ასევე კონსტანტინე კუბლაშვილი, რომელიც იყო უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ნაცების დროს. ხელს აწერს ასევე მეიშვილი, რომელიც იყო კუბლაშვილის მოადგილე უზენაეს სასამართლოში.

– ისე, აზრთა სხვადასხვაობა ქვეყანაში უნდა იყოს, მაგრამ სახელმწიფო უნდა მოიქცეს ისე, როგორც ამას კანონი კარნახობს.

– რა თქმა უნდა. ამ პროფესორ-მასწავლებლებს, რომლებიც მელიას დაპატიმრებას გმობენ, პროტესტი არ გამოუთქვამთ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორები ნაცრეჟიმს აუდიტორიაში რომ ჰყავდა გამოკეტილი და ტუალეტში გასვლის საშუალებასაც არ აძლევდა.

ვახო სანაიას 3 ადამიანი თავს დაესხა

„ერთი მათგანი ჩემი ცოლის ყოფილი მეზობელი იყო“

პოლიციამ თავდამსხმელები დააკავა

24 თებერვალს ღამით ტვ ფორმულას ჟურნალისტ ვახო სანაიას თავს დაესხნენ.

– წუხელ, დაახლოებით 1-ის ნახევარზე ჩემი მეუღლე, ჩემი შვილი, ძიძა და ჩვენი ოჯახის კიდევ ერთი წევრი ჩამოვიდნენ თურქეთიდან და აეროპორტში დავხვდით მე და ჩემი რძალი.

იქიდან წამოვედით წყნეთის ქუჩაზე ვაკეში, დავტოვეთ ერთი ადამიანი, მაგრამ, ცენტრალურ გზაზე ვეღარ ვბრუნდებოდით, ჩვენი მანქანა ვერ ამოვიდა, მოყინული იყო და გამოვიძახეთ სამაშველო სამსახური.

პირველი საათზე ან უფრო გვიან, გამოჩნდა, სავარაუდოდ, იმ უბნელი 3 ადამიანი, მათგან ერთ-ერთი ჩემი მეუღლის ყოფილი მეზობელი იყო და მან იცნო. იგი ცდილობდა, რომ გამოვეწვიე, პროვოცირებდა, მე ყურადღებას არ ვაქცევდი, – აღნიშნავს სანაია.

ამის შემდეგ, მისი თქმით, სანაიაზე დაიწყო ფიზიკური თავდასხმა. თავდამსხმელები სანაიას და ზოგადად მედიას ლანძღავდნენ, სანაიას კი ერთ-ერთი მათგანი მოუწოდებდა, რომ მისი სახე კარგად დაემახსოვრებინა.

ვახო სანაია ფიქრობს, რომ თავდასხმა მისი პროფესიიდან გამომდინარე განხორციელდა.

– აგრესია ჰქონდათ ჩემ მიმართ, როგორც მედიის წარმომადგენლის მიმართ. ბავშვი ეჭირა ძიძას მანქანაში, წლის და ორი თვის არის, ისტერიკულად ტიროდა, შეეშინდა და მაინც არ ჩერდებოდნენ, – აცხადებს იგი.

ჟურნალისტის თქმით, თავდამსხმელებმა ფიზიკური დაზიანება მის რძალსაც მიაყენეს.

იგი სამაშველო სამსახურის თანამშრომლებს მადლობას უხდის, რადგან ჩაერივნენ ფიზიკურ დაპირისპირებაში და სანაიას დაეხმარნენ მანქანაში დაბრუნებაში.

პოლიციამ ვახო სანაიაზე თავდასხმის ბრალდებით 3 პირი დააკავა.

ამის შესახებ შსს-ს განცხადებაშია ნათქვამი:

„შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილი ძალადობის ბრალდებით სამი პირი – 1993 წელს დაბადებული ვ.გ., 1988 წელს დაბადებული გ.ს. და 1988 წელს დაბადებული ს.ს. თბილისში დააკავეს.

დანაშაული 2 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულებმა, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ჯგუფურად ფიზიკური ძალადობა განახორციელეს ტელეკომპანია „ფორმულას“ ჟურნალისტის – 1985 წელს დაბადებული ვ.ს.-ს და მისი მეუღლის ნათესავის 1986 წელს დაბადებულ ნ.მ.-ს მიმართ.

საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა, საქმეზე ჩატარებული გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამივე ბრალდებული დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი პრიმა ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც ორი ან მეტი პირის მიმართ ჯგუფურად ჩადენილ ძალადობას გულისხმობს.“

❖ ❖ ❖

მთავარის ინფორმაციით, ვახო სანაიას თავს ვაჟა გიგაური, გიორგი სახელაშვილი და სულიკო საყევარაშვილი დაესხნენ.

ისინი „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული პირები არიან.

ვაჟა გიგაური არის ერთ-ერთი, რომელიც ინციდენტის დროს ყველაზე აქტიური იყო და სანაიას უთხრა, მისი სახე დაემახსოვრებინა.

ვაჟა გიგაური კორცხელის ინციდენტის ერთ-ერთი მთავარი ფიგურანტის, გიორგი გიგაურის, იგივე ჯიჯეს ახლობელია და ისინი ერთ სადარბაზოში ცხოვრობენ.

პროკურატურა: „გადაიხადოს მელიამ გირაო და მის გამოშვებას მოვითხოვთ“

პროკურატურა მზადაა, ნიკა მელიას მიერ გირაოს გადახდის შემთხვევაში, სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის შეცვლის შუამდგომლობით მიმართოს.

შესაბამისი განცხადება პროკურატურაში 25 თებერვალს საღამოს გაკეთდა.

როგორც გენერალურ პროკურატურაში გამართულ ბრიფინგზე პროკურორმა ამირან გულუაშვილმა განაცხადა, „ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის, ნიკანორ მელიას დაპატიმრება არასდროს ყოფილა პროკურატურის თვითმიზანი.

– 2020 წლის 3 ნოემბრის განჩინებით განსაზღვრული გირაოს პირობების შესრულების შემთხვევაში, ბრალდების მხარე გამოთქვამს მზადყოფნას, თბილისის საქალაქო სასამართლოს შუამდგომლობით მიმართოს ბრალდებულ ნიკანორ მელიას მიმართ გამოყენებული პატიმრობის გირაოთი შეცვლის თაობაზე, – განაცხადა გულუაშვილმა.

მანქანების ძველ სანომრე ნიშნებს იურიდიული ძალა 31 მარტამდე ექნებათ

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს განცხადება

შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო შეგახსენებთ, რომ სატრანსპორტო საშუალების ძველი ნიმუშის სახელმწიფო სანომრე ნიშანს იურიდიული ძალა უნარჩუნდება 2021 წლის 31 მარტის ჩათვლით.

ვინაიდან, ქვეყნის მასშტაბით მიმოქცევაში დარჩენილია დიდი რაოდენობის ძველი ნიმუშის სანომრე ნიშანი, მომსახურების სააგენტო მოუწოდებს შესაბამისი სატრანსპორტო საშუალების მესაკუთრეებს, დროულად მიმართონ სააგენტოს სტრუქტურულ ერთეულებს სანომრე ნიშნის შესაცვლელად.

აღსანიშნავია, რომ ძველი სარეგისტრაციო ნიშნის მქონე სახელმწიფო ნომრების ახლით შეცვლისას, სავალდებულო აღარ არის სატრანსპორტო საშუალების სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში მოყვანა და დათვალიერება, იმ შემთხვევაში თუ დაინტერესებული პირის სახელზე რეგისტრირებული სატრანსპორტო საშუალება არ სხვისდება და მისი მონაცემები (მარკა, ძარას ტიპი, ფერი, საწვავის ტიპი, ძრავას ნომერი ან მოცულობა და ა.შ) არ არის შეცვლილი.

გარდა ამისა, დღეიდან მომსახურების სააგენტოს მობილური აპლიკაციის (SAGENCY) საშუალებით, მსუბუქი ავტომობილის მესაკუთრე ფიზიკურ პირს შეუძლია დისტანციურად მოითხოვოს ძველი ნიმუშის რეგისტრაციის ნომრის შეცვლა ახლით, იმ შემთხვევაში თუ მის სახელზე რეგისტრირებული ავტომობილი არ სხვისდება და მისი მონაცემები (მარკა, ძარას ტიპი, ფერი, საწვავის ტიპი, ძრავას ნომერი ან მოცულობა და ა.შ) არ არის შეცვლილი.

დისტანციურად შეცვლილი ახალი ნიმუშის სანომრე ნიშნის მიღება შესაძლებელია მთელი ქვეყნის მასშტაბით, შეკვეთისას მითითებულ სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულში.

ამ ეტაპზე, დისტანციურად ნომრის შეცვლის სერვისი ვრცელდება მხოლოდ მსუბუქი ავტომობილების ძველი ნიმუშის სახელმწიფო სანომრე ნიშნების ახლით შეცვლისას.

ასევე, გაცნობებთ, რომ მიმდინარე წლის პირველი მარტიდან მომსახურების სააგენტოს რუსთავის ტერიტორიულ ერთეულში მოქალაქეებს სატრანსპორტო საშუალების რეგისტრაციასთან დაკავშირებული სერვისების მისაღებად შეეძლებათ ანგარიშსწორება აწარმოონ პლასტიკური ბარათის საშუალებით სააგენტოს ოპერატორებთან.

მომსახურების სააგენტო მოუწოდებს მოქალაქეებს, ადგილზე სერვისების მისაღებად გამოცხადდნენ პირბადით, თანმხლები პირების გარეშე.

ლაგოდეხთან ოპელი მერსედესს შეასკდა

1 ადამიანი დაიღუპა, 4 დაშავდა

25 თებერვალს ლაგოდეხი-თბილისის ცენტრალურ მაგისტრალზე ერთმანეთს ოპელისა და მერსედესის მარკის ავტომობილები შეეჯახა. შემთხვევის შედეგად ადგილზე მამაკაცი გარდაიცვალა, ხოლო 4 ადამიანი მრავლობითი დაზიანებებით სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ჯგუფმა ლაგოდეხის არქიმედეს კლინიკაში გადაიყვანა.

ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ.

წინასწარი ინფორმაციით, ავარიის მიზეზი გადაჭარბებული სიჩქარე გახდა.

პოლიციამ 2019 წლიდან ძებნილი პირი დააკავა



სამართალდამცავებმა განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის 2019 წლიდან ძებნილი პირი დააკავეს.

მსჯავრდებულმა ყოფით ნიადაგზე დაწყებული შელაპარაკების დროს, მის ნაცნობს ცეცხლსასროლი იარაღიდან დაზიანება მიაყენა და მიიმალა.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა 2019 წლიდან განზრახ მკვლელობის მცდელობისთვის და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგოდ ტარებისთვის ძებნილი პირი – 1972 წელს დაბადებული ბ.გ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტში დააკავეს.

ბ.გ.-მ 2019 წლის აპრილში, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ გრიგოლიში, ყოფით ნიადაგზე დაწყებული ურთიერთშელაპარაკების შემდეგ, მის ნაცნობს ა.ლ.-ს ცეცხლსასროლი იარაღიდან გასროლით ჯანმრთელობის დაზიანება მიაყენა და მიიმალა.

დაჭრილ მამაკაცს კლინიკაში შესაბამისი მკურნალობა ჩაუტარდა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ სსკ-ის 19-108-ე და 236-ე მუხლებით ჩატარებული გამოძიების შედეგად მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე ზუგდიდის სასამართლომ ბ.გ. დამნაშავედ ცნო და დაუსწრებლად 7 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა“ – ნათქვამია შსს-ს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

ნორვეგიული და იტალიური კომპანიების კუთვნილი 470.463 ლარის მოპარვისთვის 3 პირს 7-7 წელი მიესაჯა

თბილისის საქალაქო სასამართლომ სრულიად გაიზიარა ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ნორვეგიული და იტალიური კომპანიების კუთვნილი 470 463 ლარის ეკვივალენტი ევროს თაღლითურად დაუფლების ფაქტზე, საქართველოს მოქალაქეები – ბ.ა, ო.კ, და დ.ქ. დამნაშავედ ცნო.

სასამართლო პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ ნორვეგიული და იტალიური საწარმოების კუთვნილი დიდი ოდენობით ფულადი თანხების მოტყუებით დაუფლების მიზნით, 2020 წლის მარტი-მაისის თვეებში, ბ.ა-ს მითითებით და დავალებით ო.კ-მ და დ.ქ-მ, არარეზიდენტი იურიდიული პირების მსგავსი სახელწოდების მქონე საწარმოები დააფუძნეს და საბანკო ანგარიშები გახსნეს საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებში.

„დანაშაულებრივი ჯგუფის წევრების მიერ მოხდა ნორვეგიული და იტალიური კომპანიების ელექტრონულ ფოსტაში ჰაკერული შეღწევა, მათი ბიზნესსაქმიანობის შესწავლა და შეცდომაში შეყვანის მიზნით რეალური ბიზნესპარტნიორი კომპანიების საბანკო ანგარიშების მონაცემების ცვლილება, რის შედეგადაც, 2020 წლის მაისში, ნორვეგიული და იტალიური კომპანიების ბიზნესსაქმიანობისთვის განკუთვნილი ფულადი თანხები, რეალური კონტრაგენტების (თანხის მიმღებების) ნაცვლად ჩაირიცხა ო.კ-ს და დ.ქ-ს მიერ დაფუძნებული საწარმოების საქართველოში მოქმედ საბანკო დაწესებულებებში არსებულ ანგარიშებზე. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედების შედეგად ნორვეგიულ და იტალიურ კომპანიებს დიდი ოდენობით – 470.463 ლარის ეკვივალენტი ევროს ზიანი მიადგათ.

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი თანხების ნაწილი, საბანკო ანგარიშებიდან განაღდების შემდგომ, წინასწარ შეთანხმებული პროცენტულობის შესაბამისად, ჯგუფის წევრებს შორის განაწილდა.

შატილთან ავარიის საქმეზე დაკავებულ 2 პირს პატიმრობა შეეფარდა

შატილის გზაზე მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევის საქმეზე დაკავებულ ორ პირს, შალვა ბოლოთაშვილსა და გოჩა გოგილაშვილს, აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მიიღო.

25 თებერვალს, სასამართლო პროცესზე, რომელიც დისტანციურ რეჟიმში წარიმართა, ბრალდების მხარე დაკავებულებისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენებას, დაცვის მხარე კი მათი გირაოს სანაცვლოდ გათავისუფლებას ითხოვდა.

სასამართლომ ბრალდების მხარის შუამდგომლობა სრულად დააკმაყოფილა.

დაკავებულს ბრალი პროკურატურამ 24 თებერვალს წარუდგინა.

სამართალდამცავებმა შატილის გზაზე მომხდარი ავარიის საქმეზე შპს „თრეველ ჯის“ დირექტორი შალვა ბოლოთაშვილი და ამავე კომპანიის მიერ დაქირავებული სამგზავრო მიკროავტობუსის მესაკუთრე დააკავეს. გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 277-ე მუხლის 1-ელი და მე-3 ნაწილებით მიმდინარეობს, რაც გულისხმობს ტექნიკურად გაუმართავი ტრანსპორტის საექსპლუატაციოდ გაშვებას, რამაც ორი ან მეტი ადამიანის სიცოცხლის მოსპობა გამოიწვია.

შეგახსენებთ, რომ შატილის გზაზე ავტოკატასტროფა 23 აგვისტოს მოხდა, შედეგად 17 ადამიანი დაიღუპა, 3 კი გადარჩა.

„სომხეთში გენშტაბი სამხედრო გადატრიალებას აპირებს“

ფაშინიანმა გენშტაბის უფროსი მოხსნა ერევანში პრემიერის გადადგომას მოითხოვენ



25 თებერვალს სომხეთის შეიარაღებული ძალების გენერალურმა შტაბმა განცხადება გავრცელა, სადაც სამხედრო მაღალჩინოსნები ნიკოლ ფაშინიანის მთავრობის გადადგომას ითხოვენ.

ნიკოლ ფაშინიანმა ეს განცხადება სამხედრო გადატრიალების მცდელობად შეაფასა.

– გენერალური შტაბის განცხადებას სამხედრო გადატრიალების მცდელობად ვთვლი. ყველა ჩვენს მომხრეს რესპუბლიკის მოედანზე ვიწვევ. მალე მივმართავ ერს პირდაპირ ეთერში, – განაცხადა ნიკოლ ფაშინიანმა.

მანვე გენერალური შტაბის უფროსი, ონიკ გასპარიანი, თანამდებობიდან გაათავისუფლა.

ფაშინიანის განმარტებით, გასპარიანისა და მისი მოადგილის გადაყენებას ხელი მანამდე მოაწერა, სანამ გენერალური შტაბი მისი გადადგომის მოთხოვნით განცხადებას გაავრცელებდა.

მოგვიანებით ნიკოლ ფაშინიანმა ერევნის ცენტრში მომხრეებთან ერთად მსვლელობა მოაწყო.

აქციის უსაფრთხოებას სამართალდამცავები უზრუნველყოფდნენ.

„ნიკოლ – პრემიერ-მინისტრი!“ – სკანდირებდნენ ფაშინიანის მხარდამჭერები.

სომხეთის ყოფილმა პრეზიდენტმა რობერტ კოჩარიანმა სომეხ ხალხს მოუწოდა, შეიარაღებული ძალების გვერდით დადგნენ.

„ძვირფასო თანამემამულეებო, ამ გადამწყვეტ მომენტში მოგიწოდებთ, იყოთ ჩვენი ქვეყნის პატრონები. გვერდით დაუდგეთ ჩვენს შეიარაღებულ ძალებს, არმიას. მთავრობა, რომელმაც წააგო ომი და დათმო ტერიტორია, უნდა გადადგეს. ეს არის ჩვენი ეროვნული აღორძინების პირველი აუცილებელი გარანტია, ეს არის დღევანდელი დღის აუცილებლობა“ – აღნიშნულია განცხადებაში.

ქვეყნის მოქმედმა პრეზიდენტმა არმენ სარქისიანმა კი ხელისუფლებასა და საზოგადოებას თავშეკავების გამოჩენისკენ მოუწოდა.

„მოვუწოდებ ყველას – ხელისუფლებას, სამართალდამცავ ორგანოებს, პოლიტიკურ ძალებს და თითოეულ მოქალაქეს, გამოიჩინონ თავშეკავება და საღი აზრი: ნებისმიერი წინდაუხედავი გამოსვლა ან ქმედება ზრდის დაძაბულობას და კიდევ უფრო აღრმავებს კრიზისს, ნუ აყვებით პროვოკაციებს და თავი შეიკავეთ სიძულვილისა და შეუწყნარებლობისკენ მოწოდებებისგან.

სახელმწიფოს დესტაბილიზაციისა და სახელმწიფოებრიობის საფრთხეში ჩაგდების ნებისმიერი მცდელობა უარყოფილი უნდა იყოს უპირობოდ. იმოქმედეთ კონსტიტუციის ფარგლებში. მოგიწოდებთ, გამოიჩინოთ სიფხიზლე, საღი აზრი და თავშეკავება“ – აღნიშნულია პრეზიდენტის განცხადებაში.

ნიკოლ ფაშინიანის გადადგომის მოთხოვნას პოლიციის ოფიცრებიც შეუერთდნენ.

„პოლიციის თანამშრომლებს მოვუწოდებთ, არ დაემორჩილონ ნიკოლ ფაშინიანის უკანონო მითითებებს და არ გამოიყენონ ძალა ხალხის წინააღმდეგ.

ჩვენ მოვუწოდებთ საზოგადოებას, არ აყვეს პროვოკაციებს და თავი შეიკავოს ნებისმიერი ნაბიჯისგან, რომელიც მიზნად ისახავს ძალაუფლების შენარჩუნებას. ქვეყანაში არსებული ვითარებიდან ერთადერთი გამოსავალი არის ხელისუფლების გადადგომა. ჩვენ მოვუწოდებთ ამჟამინდელ ხელისუფლებას, მშვიდობიანად გადადგეს და თავი შეიკავოს ქვეყანაში ვითარების დესტაბილიზაციისგან“ – აღნიშნულია განცხადებაში, რომელსაც პოლიციის 30 ოფიცერი, მათ შორის გენერლები, პოლკოვნიკები და ვიცე-პოლკოვნიკები აწერენ ხელს.

25 თებერვალს საღამოს გამოცხადდა, რომ სომხეთის პარლამენტის შენობასთან ფაშინიანის გადადგომის მოთხოვნით ოპოზიციის საპროტესტო აქცია უვადო იქნება. ამის შესახებ ოპოზიციური პარტია „სამშობლოს“ ლიდერმა, ეროვნული უშიშროების სამსახურის ყოფილმა ხელმძღვანელმა არტურ ვანეციანმა ჟურნალისტებს განუცხადა.

– მივიღეთ გადაწყვეტილება ბაგრამიანის პროსპექტის ორივე მხრიდან ბლოკირების, აქციების უვადოდ გაგრძელების და ამ ადგილიდან ყველა პროცესის მართვის შესახებ, – განაცხადა ვანეციანმა.

მან ქვეყნის მცხოვრებლებს მოუწოდა, პროტესტის მონაწილეებს შეუერთდნენ.

„ასე თუ ისე, ხელისუფლების საკითხი წყდება ეროვნული შეკრებით, – განაცხადა ოპოზიციურმა ლიდერმა.



ბაიდენმა სცს-ს დირექტორად უილიამ ბარნსი წარადგინა

აშშ-ის ცენტრალურ სადაზვერვო სამმართველოს (სცს) შესაძლოა ახალი დირექტორი ჰყავდეს. პრეზიდენტმა ბაიდენმა ამ პოსტზე პროფესიონალი დიპლომატი უილიამ ბარნსი წარადგინა.

კონგრესმა მისი კანდიდატურა მოიწონა. ახლა სიტყვა სენატზეა, სადაც ბარნსის კანდიდატურის განხილვა მიმდინარეობს.

ბარნსი პროფესიონალი დიპლომატია. ის მუშაობდა ელჩად როგორც იორდანიაში, ასევე რუსეთში.

მარკელოვს 13 წელი მიუსაჯეს

ნიჟნი ნოვგოროდში რესპუბლიკა მარია ელ-ის მეთაურის მარკელოვის სასამართლო შედგა. მარკელოვი დამნაშავედ ცნეს დიდი ოდენობით ქრთამის აღებაში, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შეძენაში და ა.შ.

პროკურორმა მარკელოვისათვის 17 წლით თავისუფლების აღკვეთა მოითხოვა.

სასამართლო კი მას 13 წლით პატიმრობა მიუსაჯა.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

ბავშვმა ნაპოვნი პისტოლეტით შემთხვევით დედა მოკლა

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინის შტატში ბავშვმა დატენილი პისტოლეტი იპოვა და გაუფრთხილებლობით საკუთარი დედა მოკლა. ამ ინფორმაციას ქალაქ კორნელიუსის პოლიციის დეპარტამენტი ავრცელებს.

25 წლის გაბრიელ ჰენდერსონის სახლში პოლიციელები ორშაბათს ადგილობრივი დროით დაახლოებით 19:00 საათზე მივიდნენ და ხუთი შვილის დედა საძინებელში მკვდარი ნახეს. მის გვერდით საწოლზე მომცრო პისტოლეტი იდო.

ცეცხლნასროლი ჭრილობა მიიღო ჰენდერსონის უმცროსმა შვილმაც. ის საავადმყოფოში გადაიყვანეს და სამედიცინო დახმარება აღმოუჩინეს. მის სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

უბედური შემთხვევის დროს სახლში ჰენდერსონისა და მისი ხუთი შვილის გარდა არავინ იმყოფებოდა, უფროსი შვილი სასტუმრო ოთახში იყო. სავარაუდოდ, ბავშვებმა პისტოლეტი დედის ხელჩანთაში იპოვეს და თამაშის დროს უნებურად გაისროლეს.

ჭაში ჩავარდნილი პენსიონერი ქალი ცოცხალი გადარჩა

ამერიკის ორეგონის შტატის ქალაქ სილვერტონში მაშველებმა 16 მეტრის სიღრმის ჭაში ჩავარდნილი პენსიონერი ქალი გადაარჩინეს.

80 წლის ქალს ჭაზე დაფარებულ ფიცრებს შორის ჩაუვარდა ფეხი, შემდეგ კი მთლიანად ჩავარდა. ის 16 მეტრის სიღრმეზე სანახევროდ წყალში აღმოჩნდა და გადარჩა.

შემთხვევის ადგილზე მაშველების მისვლამდე ქალის მეზობელი თოკის დახმარებით მასთან ჩაეშვა გასამხნევებლად და წყლის ზედაპირზე თავის შემაგრებაშიც ეხმარებოდა.

მაშველებმა პენსიონერი ქალი ჭიდან ამოიყვანეს. მას მართალია გონება არ დაუკარგავს, თუმცა მისი ორგანიზმი გადაცივებას განიცდიდა და რამდენიმე დაზიანებაც ჰქონდა მიღებული.

შვილის გადარჩენას მამა ემსხვერპლა



ამერიკის კალიფორნიის შტატის ქალაქ სალინასის მკვიდრი თავისი 12 წლის შვილის გადარჩენის მცდელობისას დაიღუპა, რომელიც პარკ მოს-ლენდვინგის პლაჟიდან ტალღამ ოკეანეში გაიტაცა.

32 წლის ჯორჯ ბოტელო მეუღლესა და შვილთან ერთად პლაჟზე ისვენებდა, როდესაც ტალღამ ბავშვი ოკეანეში გაიტაცა.

მამა იმ წამსვე შვილის გადასარჩენად წყალში გადაეშვა და მასთან მიაღწია, მაგრამ ძლიერმა ტალღებმა ის სიღრმისკენ გაიტაცეს. ამის დანახვაზე წყალში გადაეშვა ბავშვის დედაც და შვილის გამოყვანას შეეცადა, მაგრამ მალევე მიხვდა, რომ ამას ვერ შეძლებდა, ზურგზე გადატრიალდა ასეთი ხერხით მოახერხა ნაპირზე ამოსვლა.

ბავშვის წყლიდან ამოყვანა გამვლელმა, რომელიც მომხდარის თვითმხილველი გახდა, მოახერხა.

პლაჟზე მომუშავე მაშველი შეეცადა წყალში მყოფ მამაკაცამდე სპეციალური დაფით მიეღწია. ეს მას თითქმის გამოუვიდა, მაგრამ სანამ ბოტელოს ხელს სტაცებდა, მამაკაცი წყალმა სიღრმეში ჩაითრია და მეტად აღარ ამოუყვინთავს.

ბოლოს მამაკაცი ნაპირიდან 130 მეტრში შენიშნეს. მაშველებმა მყვინთავების, შვეულმფრენის და დრონის ჩართვით მისი ძებნის ოპერაცია დაიწყეს. ღამით მათ ოპერაციის შეწყვეტა მოუხდათ. მეორე დღეს ძებნა განახლდა, თუმცა მას ვერ მიაგნეს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

სპორტი

შედეგები

24 თებერვალი
ფეხბურთი

უეფას ჩემპიონთა ლიგა

ატალანტა-რეალი 0:1
გლადბახი-სიტი 0:2

უეფას ევროპის ლიგა

ტოტენჰემი-ვოლფსბერგერი 4:0

ინგლისი. ჩემპიონლიგა

ბარნსლი-სტოკი 2:0
ბრენტფორდი-უენსდი 3:0
სუონსი-ქოვენთრი 1:0
ბლექბერნი-უოტფორდი 2:3
ბორნმუთი-კარდიფი 1:2
პრესტონი-ქარ 0:0

ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ბარსელონა-ელჩე 3:0

სატუნირო ცხრილი:

1.ატლეტიკო	23	17	4	2	45-16	55
2.რეალი	24	16	4	4	42-19	52
3.ბარსელონა	24	15	5	4	53-22	50
4.სევილია	23	15	3	5	34-16	48
5.სოსიედადი	24	11	8	5	41-20	41
6.ვილიარეალი	24	8	13	3	33-25	37
7.ბეტისი	24	11	3	10	32-38	36
8.ლევანტე	24	7	10	7	34-33	31
9.გრანადა	24	8	6	10	29-41	30
10.ბილბაო	23	8	5	10	33-27	29
11.სელტა	24	7	8	9	29-36	29
12.ვალენსია	24	6	9	9	30-32	27
13.ოსასუნა	24	6	7	11	22-33	25
14.კადისი	24	6	7	11	21-40	25
15.ხეტაფე	24	6	6	12	17-30	24
16.ალავესი	24	5	7	12	20-38	22
17.ეიბარი	24	4	9	11	19-27	21
18.ვალიადოლიდი	24	4	9	11	22-35	21
19.ელჩე	23	4	9	10	20-34	21
20.უესკა	24	3	10	11	21-35	19

საფრანგეთი. ლიგა 1

ნიმი-ლორიანი 1:0

სატუნირო ცხრილი:

1.ლილი	26	17	7	2	46-16	58
2.ლიონი	26	16	7	3	54-24	55
3.პსჟ	26	17	3	6	57-17	54
4.მონაკო	26	16	4	6	54-37	52
5.ლანსი	26	11	7	8	37-35	40
6.მეცი	26	10	8	8	31-25	38
7.მარსელი	25	10	8	7	33-29	38
8.რენი	25	10	8	7	32-28	38
9.მონპელიე	26	11	5	10	43-46	38
10.ანჟე	26	10	5	11	30-40	35
11.ბორდო	26	9	6	11	27-31	33
12.ბრესტი	26	9	4	13	39-47	31
13.რეიმსი	26	7	9	10	32-34	30
14.სტ.ეტიენი	26	7	9	10	26-37	30
15.სტრასბური	26	8	5	13	34-40	29
16.ნიცა	26	8	5	13	31-38	29
17.ნიმი	26	7	3	16	25-51	24
18.ლორიანი	26	6	5	15	31-50	23
19.ნანტი	26	4	11	11	26-41	23
20.დიჟონი	26	2	9	15	18-40	15

ნიდერლანდები. ეროვნული დივიზიონი

ტილბურგი-დენ ჰაააგი 1:1
გრონინგენი-ფეინოორდი 0:0

შოტლანდია. პრემიერლიგა

სტ.მირენი-მოზერველი 0:0

საზოგადოება

თამაზ ჭილაძის 90 წლის იუბილე აღნიშნება



5 მარტს მწერლისა და პოეტის თამაზ ჭილაძის დაბადებიდან 90 წელი სრულდება. ამ თარიღთან დაკავშირებით, იგეგმება შეხვედრა ხილიანზე, ჭილაძეებთან, მწერლის სახლში, სადაც კიდევ ერთხელ გაიხსენებენ მწერლის შემოქმედებას. სტუმრების მასპინძელი იქნება ქალბატონი თინა ჭილაძე.

შეხვედრაში მონაწილეობის მსურველებს შეუძლიათ დაწერონ მხატვრული ნამუშევარი სახელწოდებით „თამაზ ჭილაძე 90“, რომელიც უნდა იყოს არანაკლებ ორი და არაუმეტეს ხუთი გვერდისა. შეირჩევა 4 საუკეთესო ნამუშევარი, რომელთა ავტორებიც მიიღებენ მონაწილეობას შეხვედრაში და ასევე საჩუქრად გადაეცემათ მწერლის წიგნები.

ნამუშევრის გაგზავნა პირველი მარტის ჩათვლით არის შესაძლებელი სპეციალურ მისამართზე.

მწერლები და გამომცემლები საგანგებო წერილს ავრცელებენ

ქართველმა მწერლებმა და გამომცემლებმა საერთაშორისო საზოგადოებას, საქართველოში აკრედიტებულ დიპლომატიურ მისიებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს, ასევე უცხოელ კოლეგებსა და საქართველოს მეგობრებს სპეციალური წერილით მიმართეს:

– 23 თებერვალი ტრაგიკული თარიღია საქართველოს ისტორიაში, ამ დღეს ცრემლით, ტკივილით, მაგრამ სიამაყით ვიხსენებთ ქართველ იუნკრებსა და ათასობით მებრძოლს, რომლებმაც 1921 წელს საქართველოს სუვერენიტეტის დაცვას გმირულად შესწირეს თავი. უდიდესი მსხვერპლის ფასად, 1921 წლის 25 თებერვალს, თბილისი მე-11 წითელმა არმიამ დაიკავა. საქართველო რუსული საბჭოთა იმპერიის ნაწილად იქცა. დამოუკიდებლობის დაკარგვას მოჰყვა სასტიკი რეპრესიები, პოლიტიკური პარტიების აკრძალვა, ათასობით ადამიანის დახვრეტა, ხანგრძლივი პატიმრობა და გადასახლება. ხუთკვირიანი ბრძოლისა და გმირული თავგანწირვის მიუხედავად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მოქალაქეებმა ვერ შეძლეს დამოუკიდებლობის დაცვა. 25 თებერვალს დაწყებულმა საბჭოთა ოკუპაციამ მთელი 70 წელი გასტანა.

ამ მოვლენებიდან 100 წლის თავზე, საქართველო და ჩვენი ქვეყნის დემოკრატიული მიღწევები ისევ უდიდესი საფრთხის წინაშეა. საქართველოს დღევანდელი ხელისუფლება დიქტატორული მმართველობის გზას დაადგა და სახელმწიფო ინსტიტუტების უზურპაციის შემდეგ, პოლიტიკური მოწინააღმდეგეების დევნა და დაპატიმრება დაიწყო. ჩვენ ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ ასეთი პროცესები, საქართველოს ჩამოშორება დემოკრატიული განვითარების გზას და ქვეყნის დასავლური კურსის ღალატი, მხოლოდ რუსეთის დღევანდელი ხელისუფლების ინტერესებში შედის და მათი უშუალო მონაწილეობით ხორციელდება.

ქართველი მწერლები და გამომცემლები მოგმართავთ ყველას, ჩვენს მეგობრებსა და გულშემატკივრებს, გაიაზროთ საფრთხე, რომელიც ჩვენ წინაშე დგას და კიდევ ერთხელ გამოხატოთ სოლიდარობა და მხარდაჭერა ჩვენი სამართლიანი ბრძოლისადმი, რომელიც მიმართულია თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის დაცვისაკენ!

წერილს ხელს აწერენ რუსუდან მოსიძე, გვანცა ჯობავა, პაატა შამუგია, ირაკლი კაკაბაძე, ზვიად კვარაცხელია, ლელა სამნიაშვილი, მაია კუდავა, ხათუნა თავდგირიძე, ირინე ჩოგოშვილი, ნესტან ნენე კვინიკაძე, ლაშა ბუღაძე, ნათია გიორგაძე, ბუბა კუდავა, დათო გორგილაძე, ზაზა კოშკაძე, მედეა იმერლიშვილი, ნატო ინგოროყვა, ნინა სურამელაშვილი, ბექა ადამაშვილი, რატი ამაღლობელი, ჯაბა ზარქუა, კახმეგ კუდავა, რუსუდან რუხაძე, ეკატერინე ტოგონიძე, თამარ კვიჟინაძე, ქეთი ნიჟარაძე, ბელა ჩეკურიშვილი, ბესო სოლომანაშვილი, გაგა ნახუცრიშვილი, მანანა მათიაშვილი, დარეჯან კიკოლიაშვილი, ლუკა ბაქანიძე, მაია ალუდაური, ზურა პაპიაშვილი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

განცხადებები

● 45-წლიანი გამოცდილებითა და შედეგების სრული გარანტიით გთავაზობთ შემდეგ მომსახურებას – ფოტოსურათით მოგიხსნით: ჯადოთვალი-წყევლის ზემოქმედებას, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აგრესიას, აკვიატებას, დეპრესიას, შებოჭილობას, ეჭვიანობას, მოზარდებში პრობლემებს, თვითმკვლელობის სურვილს, კოშმარულ სიზმრებს, ძილში შფოთს, გაუმართლებლობას, ოჯახურ გაუგებრობას, ოჯახის შესაქმნელად გაგიხსნით ბედს, ჩაკეტილ მამაკაცობას, სექსუალური კონტაქტის შიშსა და სხვა პრობლემებს. მის.: წერეთლის გამზირი №57. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი, მკურნალი-პარაფსიქოლოგი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

ლევან კორღალიძე: „საბურთალო-ლოკომოტივი რიგითი მატჩი არაა“

27 თებერვალს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი იწყება. ტურის ცენტრალური მატჩი საბურთალო-ლოკომოტივია.

გარდა იმისა, რომ თბილისური დერბია, ამ მატჩს სხვაგვარი დატვირთვაც აქვს: საბურთალოს ახლანდელი მწვრთნელი ლევან კორღალიძე გასული სეზონის სტარტზე ლოკომოტივს წვრთნიდა, ხოლო რკინიგზელთა თავკაცი გიორგი ჭიაბრიშვილი – საბურთალოს.

სეზონის სტარტთან და მომავალ მატჩთან დაკავშირებით საბურთალოელთა მწვრთნელი ლევან კორღალიძე საუბრობს.

– როგორ ჩაიარა თურქულმა შეკრებამ, სადაც რამდენიმე სპარინგ-შეხვედრა გამართეთ?

– მთლიანობაში შეკრებით კმაყოფილი ვარ. გამოჩნდა როგორც უარყოფითი, ასევე დადებითი მხარეები. კარგია, რომ შეკრება სერიოზული ტრავმის გარეშე მორჩა, რადგან ასეთ დროს რეციდივები ხშირია. თითქმის ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელადაა. ტრავმიანობის ნაკლებობა ძირითადად სწორად დაგეგმილ სავარჯიშო პროცესზეა დამოკიდებული. სანამ დავიწყებდით შეკრებას, ფეხბურთელებზე ინდივიდუალური პროგრამა გვქონდა დარიგებული. ეს ფაქტორი დაგვეხმარა ვარჯიშების კარგად წარმართვაში. ჯერჯერობით სწორი გზით მივდივართ, დანარჩენს კი უშუალოდ ოფიციალური თამაშები დაგვანახებს.

რაც შეეხება ამხანაგურ მატჩებს, იმის კვალობაზე, რომ გუნდში 14 ახალი ფეხბურთელია და რთულია მოკლე დროში ერთმანეთის გაგება, კმაყოფილი ვარ საკონტროლო მატჩებით. საერთო ჯამში, 8 ამხანაგური მატჩი გავმართეთ და მხოლოდ ერთ შეხვედრაში დავმარცხდით. ამხანაგურ შეხვედრებში თითქმის ყველა ფეხბურთელს მივეცი თავის გამოჩენის შესაძლებლობა.

– ჩატარებული საკონტროლო მატჩებიდან რომელს გამოარჩევდით?

– თბილისურ შეხვედრებს თუ შევაფასებთ, გამოვარჩევდი ლოკომოტივთან ამხანაგურ მატჩს. იმ შეხვედრაში განსაკუთრებით პირველი ტაიმი კარგად ვითამაშეთ. არც მეორე ნახევარი იყო ურიგო, თუმცა პირველი ტაიმი ბევრად უკეთესი იყო. თურქულ შეკრებაზე კი მომეწონა ორენბურგთან ჩატარებული მატჩი – იყო ბრძოლა, ხისტი თამაში, კომბინაციური გოლები. თუმცა, ყოველთვის მაქვს უკმაყოფილების გრძნობა. ამ შეხვედრების შემხედვარე, ვერ იტყვი, რომ საბურთალო ფაქტობრივად ახალი გუნდია. ყველაფერს კი ოფიციალური მატჩები დაგვანახებს. ჯერ ადრეა შეფასებების გაკეთება, რადგან ამხანაგური და ოფიციალური მატჩები ბევრად განსხვავდება ერთმანეთისგან.

– სათამაშო ხარისხზე რას იტყვით, უმჯობესდება?

– ხარისხშიც არის პროგრესი. რომ ავიღოთ თბილისში ჩატარებული მატჩები და თურქეთში გამართული შეხვედრები, დიდი სხვაობაა. ნელ-ნელა წინ მივდივართ და მჯერა, უფრო და უფრო მოვუმატებთ. კარგია, რომ გამარჯვებულის მენტალიტეტი გვიყალიბდება. სამწუხაროდ, ბოლო საკონტროლო შეხვედრაში დავმარცხდით, დანარჩენ შეხვედრებში – 5 მატჩი მოვიგეთ და 2 ფრედ დავასრულეთ.

– გუნდი უკვე თბილისში იმყოფება. როგორი იქნება საბურთალოს საწვრთნელი პროცესი პირველ ოფიციალურ მატჩამდე?

– 2 დღე გუნდმა დაისვენა, ფეხბურთელებს დასვენების საშუალება მივეცი. შემდეგ კი საწვრთნელი პროცესი განვაახლეთ.

– ფაქტობრივად, ყველა კლუბი დაკომპლექტებულია. რას ელით ახალი ეროვნული ჩემპიონატისგან?

– ახალ სეზონს ყოველთვის იმედის თვალით ვუყურებ ხოლმე, ასეა ამ შემთხვევაშიც. სამწუხაროა, რომ გულშემატკივარი ისევ ვერ დაესწრება თამაშებს, მაგრამ მჯერა, ეს პრობლემა მალე მოგვარდება და ქომაგი დაუბრუნდება სტადიონს. იმედი მაქვს, ბევრი საინტერესო და დაძაბული თამაში იქნება, რაც კიდევ უფრო გაალამაზებს და საინტერესოს გახდის ეროვნულ ლიგას.

– საბურთალო უმაღლეს ლიგაში მე-7 სეზონს დაიწყებს. სტატისტიკას რომ გადავავლოთ თვალი, ვნახავთ, რომ სადებიუტო მატჩს ჩვენი კლუბი წარმატებით თამაშობს – 6-დან ყველა მოიგო.

– სტატისტიკას დიდ ყურადღებას ვაქცევ, კარგია, რომ ასეთი ტრადიცია აქვს საბურთალოს. რა თქმა უნდა, დიდი სურვილი მაქვს, რომ ეს სასიამოვნო ტრადიცია გაგრძელდეს. ამისათვის, კი თითოეული საბურთალოელი ყველაფერს გაიღებს.

– სეზონის სტარტზე საბურთალოს რთული და საინტერესო მეტოქე ჰყავს. რას ნიშნავს თქვენთვის ლოკომოტივთან მატჩი და რა მოლოდინი გაქვთ?

– ეს ჩემთვის მხოლოდ საბურთალოსა და ლოკომოტივის დაპირისპირება არაა, ბევრად უფრო მეტია. იცით, რომ ადრე ვმუშაობდი ლოკომოტივის მთავარ მწვრთნელად, გიორგი ჭიაბრიშვილი კი, საბურთალოს ხელმძღვანელობდა. გიორგის მოპოვებული ტიტულებით ჯერჯერობით ვერ შევედრები, რადგან მას ბევრი წარმატება აქვს საბურთალოში, მაგრამ ორივეს გვიყვარს როგორც საბურთალო, ასევე ლოკომოტივი. ორივე ბევრს ვშრომობთ იმისათვის, რომ ის გუნდები, სადაც ვმუშაობთ, წარმატებულები იყვნენ. თავს არ დავზოგავთ გამარჯვებისთვის, დანარჩენს კი უშუალოდ თამაში გვაჩვენებს.

რეალმა და სიტიმ სტუმრად იმარჯვეს

ატალანტა-ჰეაი 0:1

0:1 მენდი (86)

ატალანტა: გოლინი, ტოლოი, რომერო, ჯიმშიტი, მელე (პალომინო 85), დე რონი, ფროილერი, გოსენსი, პესინა, ზაპატა (პაშალიჩი 30), მურიელი (ილიჩიჩი 56, მალინოვსკი 86)

რეალი: კურტუა, ვასკესი, ვარანი, ნაჩო, მენდი, მოდრიჩი, კაზემირო, კროოსი, ასენსიო (არიბასი 76), ისკო (დურო 76), ვინისიუსი (დიასი 57)

გაძევება: ფროილერი (17)

ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში იტალიურმა და ესპანურმა გუნდებმა ძალიან ცუდად ითამაშეს და ყველა მათგანმა წააგო – იუვენტუსი, ლაციო, ბარსელონა, სევილია, ატელეტიკო. ახლა კი, ერთმანეთს ხვდებოდნენ და ცდილობდნენ თავიანთი ქვეყნის პრესტიჟი დაეცვათ.

ამ წყვილში თავდაპირველად ფავორიტად რეალი მიიჩნეოდა, მაგრამ „სამეფო კლუბი“ ბერგამოში საკადრო პრობლემებით ჩავიდა – ზინედინ ზიდანს 9 ფეხბურთელი აკლდა. შედეგად, გუნდების შანსი გათანაბრდა. თუმცა, უკვე მე-17 წუთზე უპირატესობა ისევ რეალმა იგდო – ფროილერმა მენდის წინააღმდეგ წესები დაარღვია, მსაჯმა ეს ბოლო იმედის ჯარიმად მიიჩნია და ატალანტა მოედანზე კაცნაკლული დარჩა.

დარჩენილ დროში მოედანზე მხოლოდ ერთი სურათი ვიხილეთ: რეალი ბურთს აკონტროლებდა და მეტობის გამოყენებას ცდილობდა. თუმცა, სახიფათო მოემენტებამდე საქმე არ მიდიოდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ესპანელები ძალიან ერთფეროვნად უტევდნენ და მეტოქეს მათი შეტევების გამოცნობა არ უჭირდა.

ჯანპიერო გასპერინიც გრძნობდა, რომ ასეთ შემთხვევაში გუნდი არ უნდა გაეხსნა, რადგან რეალს მეტი სივრცე გაუჩნდებოდა, რაც დამღუპველი იქნებოდა, ამიტომ კონტრშეტევებზე გადასვლას არც კი ცდილობდა.

ბოლოსკენ რეალმა უფრო მეტად შეუტია და გოლიც გაიტანა – მენდიმ საჯარიმოს გარედან ეფექტურად დაარტყა. შედეგად, რეალმა საპასუხო მატჩის წინ კომფორტული უპირატესობა მიიღო და მეოთხედფინალში გასასვლელად მშვენიერი განაცხადი გააკეთა.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ფერლან მენდი

ფრანგმა ფეხბურთელმა ყველაფერი გააკეთა გუნდის მოსაგებად. მის წინააღმდეგ უხეშობისთვის იქნა გაგდებული ფროილერი. და მთავარი: მატჩის ერთადერთი გოლიც მის ანგარიშზეა.

ჯანპიერო გასპერინი:

– დასანანია, რომ მატჩის ჩატარების შესაძლებლობა ისე არ მოგვეცა, როგორც ჩაფიქრებული გვქონდა. როდესაც კაცნაკლულები დავრჩით, სულ სხვა თამაში წარიმართა. თავდაცვაზე ზრუნვა გვიწევდა და ამას არცთუ ურიგოდ ვაკეთებდით.

ამოცანა ნათელია – გამარჯვება მადრიდში. ყველაფერი მარტივადაა, არ არსებობს სხვა ვარიანტი და გვაქვს მხოლოდ ერთი შანსი.

ზინედინ ზიდანი:

– მეტოქე ფიზიკურად ძალიან ძლიერია და დაცვაში ბრწყინვალე თამაში აჩვენა. კარგ შედეგს მივაღწიეთ და ჩვენთვის ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი. არ მგონია, რომ მოედანზე ფანტაზიის ნაკლებობის გამო უნდა გვსაყვედურობდნენ, რადგან გოლიც გავიტანეთ და არც გავუშვით. ტრავმირებული ფეხბურთელი ბევრი გვყავს, მაგრამ სწორ გზაზე ვდგავართ. მომენტებზე დადარაჯებული ვიყავით და საბოლოოდ გავიტანეთ კიდეც. იოლი თამაში არ იყო, მაგრამ საბოლოოდ მოგება გვაქვს. 10-კაციანი გუნდის წინააღმდეგ სრული გუნდით იდეალურად ვერ ვითამაშეთ, მაგრამ რაც მთავარია, გასვლაზე გავიტანეთ. ახლა შინაც უნდა გავიმარჯვოთ.

გლადბახი-სიტი 0:2

გლადბახი: სომერი, ლეინერი (ლაზარო 63), გინტერი, ელვედი, ბენსებიანი, ზაკარია, კრამერი, ნოიჰაუსი, პლეა (ტურამი 63), სტინდლი (ემბოლო 74), ჰოფმანი (ვულფი 87)

სიტი: მორაეში, კანსელო, ლაპორტე, დიასი, უოლკერი, გუნდოგანი, ერნანდესი, სტერლინგი (მარეზი 69), სილვა, ფოდენი (ტორესი 80), ჟესუსი (აგუერო 80)

გლადბახელთა მწვრთნელმა მარკო როზემ ფრთხილი ტაქტიკა აირჩია და ფეხბურთელებს თავიდანვე საკუთარი საჯარიმო გაამაგრებინა. მთელი პირველი ტაიმის მანძილზე გუნდი დაცვაში „იჯდა“ და საცოდავი საყურებელი იყო. ამასობაში კი ბერნარდუ სილვამ გოლი შეაგდო.

გერმანული გუნდის შეტევამ მეორე ტაიმში გამოიღვიძა, მომენტებიც მეტნაკლებად შექმნა, მაგრამ გოლი საკუთარ კარში მიიღო. ამჯერად გაბრიელ ჟესუსმა გაიტანა. ამ გოლმა სიტი, ფაქტობრივად, მეოთხედფინალში გაიყვანა და დარჩენილ დროში მას თავი მაინცდამაინც აღარ მოუკლავს.

ევროპის ყველაზე პრესტიჟულ ტურნირზე სიტის მწვრთნელმა პეპ გვარდიოლამ 81-ე გამარჯვება იზეიმა და ამ მაჩვენებლით ჟოზე მოურინიოს დაეწია. ახლა მათ წინ მხოლოდ სამი მწვრთნელია. ყველაზე მეტი მოგება ალექს ფერგიუსონს აქვს – 102. 89 მოგებით მეორე ადგილზეა ევერტონის ამჟამინდელი თავკაცი კარლო ანჩელოტია, ხოლო მესამეზე არსენ ვენგერი – 86 მოგება.

მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი – ბერნარდუ სილვა

სიტის ორივე გოლი მისი დამსახურებაა. პირველ ტაიმში თავად გაიტანა, ხოლო ჟესუსის გოლისას ასისტენტად მოგვევლინა.

პეპ გვარდიოლა:

– მანჩესტერ სიტი ფავორიტია? მე ვნახე, როგორ მოუგო ბაიერნმა ლაციოს 4:1. ასე რომ, ასე არ ვფიქრობ. ძალიან რთულია, ამ ვითარებაში ფეხბურთელები მუდმივად საუკეთესო ფორმაში და კონცენტრირებულნი იყვნენ. თუ ხალხს სურს, რომ ფავორიტებად შეგვრაცხონ. დაე, ასე იყოს, არ ვაპროტესტებთ. შემტევი ნახევარმცველები გვჭირდებოდა, რომ მეტოქის საჯარიმოში შეგვეტია და მათ ეს გააკეთეს. ბერნარდუ სილვას ხანდახან უკეთ თამაში და მეტი რისკზე წასვლა მართებს ხოლმე, მაგრამ ის ძალიან ჭკვიანი ფეხბურთელია. ის გუნდს განსაკუთრებულ პლუსს სძენს. საერთო ჯამში, კარგად ვითამაშეთ, მაგრამ ბოლოს მეტოქემ შესანიშნავი შანსი მიიღო. მეტი გოლის გატანა გვმართებდა, განსაკუთრებით მაშინ, როცა მეკარესთან პირისპირ გავდიოდით.

ძიუდოისტები ტაშკენტშიც გადახალისებული შემადგენლობით მიდიან



საქართველოს ძიუდოისტთა ნაკრებს მორიგი ტურნირი ელოდება. 5-7 მარტს უზბეკეთის დედაქალაქი ტაშკენტი მორიგ გრანდ სლემს უმასპინძლებს.

ამ დროისთვის არსებული ინფორმაციით, მომავალ ტურნირზე 76 ქვეყნის 532 ძიუდოისტია დარეგისტრირებული, რომელთაგან 11 ქართველია: 8 კაცი და 3 ქალი.

საქართველოს ნაკრები ამ ტურნირზეც გადახალისებული შემადგენლობით იქნება. ლაშა გუჯეჯიანის რჩეულთა სია ასეთია:

კაცები: ჯაბა პაპინაშვილი (60კგ), ფრიდონ გიგანი (73), გიორგი შერაზადიშვილი (81), ავთანდილ ჭრიკიშვილი, უშანგი მარგიანი (ორივე – 90), გიორგი ჩიქოვანი (100), ლევან მატიაშვილი, ადამ ოქრუაშვილი (ორივე +100).

ქალთა შორის სამი მონაწილე გვეყოლება: ტატიანა ლევიცკა-შუკვანი (52), მარიამ ჭანტურია (70), სოფიო სომხიშვილი (+78).

შეგახსენებთ, რომ ქართველმა ძიუდოისტებმა ახლახან თელ ავივში გამართულ გრანდ სლემზე 8 მედალი მოიპოვეს – 2 ოქრო, 1 ვერცხლი და 5 ბრინჯაო.

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოხდი ბ



შვეულად: 1. სანადირო თოფით სასროლი ყველაზე წვრილი კალიბრის საფანტი; 2. ფერადი გაუმჭვირვალე მინის ნატეხები მოზაიკური სამუშაოებისათვის; 3. ძველი ბერძენი მოქანდაკე, რომელმაც ააგო ცნობილი ლაბირინთი კუნძულ კრეტაზე; 4. მარცვლეულის დამხარისხებელი მანქანა; 6. ისტორიული ქალაქი-სახელმწიფო მესოპოტამიაში; 8. ტექნიკასა და მედიცინაში გამოყენებული აზოტისა და წყალბადის ნაერთი, მწვავე სუნის აირი; 11. „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელი ქართველი მხატვარი; 12. შვედეთის, დანიის, ნორვეგიის მეფეთა ტიტული; 16. უბანი თბილისში; 17. იაპონიის ძველი დედაქალაქი; 18. სურნელოვანი პარფიუმერიული ფხვნილი.

თარაზულად: 1. მდინარე უკრაინა-მოლდავეთის საზღვარზე; 5. კუბის ფორმის მქონე წმინდა მეჩეთი მექაში; 7. „ფორმულა-1“-ში მონაწილე ფრანგი ავტომრბოლელი; 9. სამთო-სათხილამურო სპორტის ერთ-ერთი სახეობა; 10. ბატის ძველი ქართული სახელწოდება; 13. დიპლომატიური წარმომადგენელი; 14. იტალიის ფეხბურთელთა გუნდი; 15. კინოპრემია ესპანეთში; 19. სამთო-სათხილამურო კურორტი საქართველოში; 20. ფუტკრის სკის შავი ცვილი; 21. საფოსტო გზავნილი; 22. „ბითლზის“ ერთ-ერთი წევრი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ტრიბუნი; 2. რეგენტი; 3. ერზაცი; 4. გოეთე; 5. სელადონი; 7. კიი; 11. სვინგი; 15. ვატმანი; 16. საკურა; 17. ბრერა. 18. ომეგა; 20. როდეო; 22. ჯაკო.

თარაზულად: 6. როკოკო; 8. თემშარა; 9. სპეკალი; 10. ბოლნისი; 12. ფაცხა; 13. ელადა; 14. პარიტეტი; 19. მეტეორი; 21. არემჯი; 23. მასკი; 24. ფრანკი; 25. ენოთეკა; 26. პაკჰაუზი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. მელაძე; 2. ხუცური; 3. მალთაყვა; 4. უზანგი; 6. ჩეფერინი; 8. მდოგვი; 11. კელასური; 12. ბორჯომი; 16. ფეოლა; 17. კობზა; 18. თართი.

თარაზულად: 1. მესხეთი; 5. პანჩი; 7. მალხაზი; 9. აბსურდი; 10. მატიანე; 13. ველვეტი; 14. მერანო; 15. როქი; 19. ოჯალეში; 20. კოსინუსი; 21. საბურთალო; 22. დინარი.

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

26 თებერვალი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 3.3198

ევრო — 4.0355

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 4.6969

100 რუსული რუბლი — 4.5065

ამინდის პროგნოზი 26 თებერვლისათვის

2 მარტიდან

ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგია

ტომი 3

სერია „ქართული საბავშვო მოთხრობის ანთოლოგიაში“ თავმოყრილია სხვადასხვა ეპოქისა და მიმდინარეობის ქართველი მწერლების რჩეული საბავშვო მოთხრობები. მათი წაკითხვა ფრიად გაამდიდრებს ბავშვის ფანტაზიას, წარმოსახვის უნარს, ლექსიკას და შეაყვარებს ლიტერატურას.

ფასი გაზეთთან ერთად 12 ლარი

სოლსკიაერი ცენტრალური მცველის ძიებაშია

მანჩესტერ იუნაიტედის მთავარი მწვრთნელი ოლე გუნარ სოლსკიაერი ცენტრალური მცველის ძიებაშია და ის რამდენიმე კანდიდატურას განიხილავს.

ერთ-ერთი მათგანი ტორინოს ბრაზილიელი ცენტრალური მცველი გლეისონ ბრემერია, რომელიც იტალიაში თავის პოზიციაზე ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. მისი სატრანსფერი ფასი კი მხოლოდ 20 მილიონი ევროა და ამ თანხის გადახდა მანჩესტერ იუნაიტედს ნამდვილად არ გაუჭირდება.

ხავის ბარსელონას მწვრთნელობა სურს

ესპანურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ხავი ერნანდესს ბარსელონაში დაბრუნება სურს და მზად არის, რომ კატალონიურ გუნდს სათავეში ჩაუდგეს. ეს შესაძლოა იმ შემთხვევაში მოხდეს, თუ ბარსელონას პრეზიდენტი ჟოან ლაპორტა გახდება.

ლაპორტას და ხავის ახლო ურთიერთობა აქვთ და ლაპორტამ ერთ-ერთ ინტერვიუში ხავის შესაძლო მწვრთნელობაზე ისაუბრა კიდეც.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

ანეკდოტი

ავტობუსში ბიჭი მოპირდაპირე მხარეს მჯდომ გოგონას ეუბნება:

– გოგონი, ისე მიყურებთ, თითქოს სახლში მარტო იყოთ დარჩენილი.

●●●

ცოლი ქმარს ეკითხება:

– ძვირფასო, რა მოგიმზადო სადილად?

– ხამანწკები ნორმანდიული სოუსით.

– კარგი, რახან მასე გინდა... იყოს ერბოკვერცხი...

●●●

სამი მეგობარი ქალებზე საუბრობს. ერთი ამბობს:

– მე ოცი წლის გოგონებს ვანიჭებ უპირატესობას. ისინი ისეთი ნაზები და გაურყვნელები არიან...

მეორე ამბობს:

– მე ორმოცი წლის ქალები მომწონს, ისინი გამოცდილები არიან, ბევრი რამ იციან, იციან რა სურთ...

მესამე ამბობს:

– მე კი სამოცდაათი წლის ქალები მომწონს...

– რაა? რატომ?

– ყოველ ჯერზე ისინი ფიქრობენ, რომ ეს მათი უკანასკნელია და რას აღარ აკეთებენ!

●●●

დედა შვილს ძილის წინ ზღაპარს უკითხავს:

– მამას ჰყავდა სამი შვილი: უფროსი იყო ჭკვიანი, შუათანა არც ძალიან ჭკვიანი და არც სულელი, ხოლო ნაბოლარა ნამდვილი სულელი იყო...

– დედიკო, რა, მათი მამა ავად იყო?

– საიდან მოიტანე?

– აბა, ყოველ ჯერზე სულ უფრო და უფრო უარესი შვილი რატომ გამოსდიოდა?

●●●

ხანდაზმული მამაკაცი აფთიაქში გამყიდველს ეუბნება:

– შვილო, წამლები მინდა.

– რომელი, ბაბუა?

– ნებისმიერი, ყველა გამითავდა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ზურა დოიჯაშვილი საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს

მომღერალი ზურა დოიჯაშვილი საბურთალოს სასაფლაოზე დაკრძალეს. ხელოვანი ისრაელში ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა.

ზურა დოიჯაშვილის საქართველოში ჩამოსაყვანად საქველმოქმედო მარათონი გაიმართა. ფული მომღერლის სამშობლოში ცოცხლად დასაბრუნებლად გროვდებოდა. მარათონის შემდეგ, დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, ზურა დოიჯაშვილის ვარსკვლავი გაიხსნა. მისი მეგობრები დიდი იმედით ელოდებოდნენ ზურას საქართველოში დაბრუნებას, თუმცა მომღერალმა სამშობლოში ცოცხალმა ვეღარ ჩამოაღწია.

ზურა დოიჯაშვილის სამოქალაქო პანაშვიდები ანჩისხატის ეკლესიაში გაიმართა. დაკრძალვის დღეს იგი ფილარმონიის დიდი საკონცერტო დარბაზის წინ, მის კუთვნილ ვარსკვლავთან დაასვენეს და უკანასკნელ გზაზე ტაშით გააცილეს.

შინდისის გმირების ქუჩა ქუთაისში გაიხსნა

თბილისისა და გორის შემდეგ, შინდისის გმირების სახელობის ქუჩა ქუთაისშიც გაიხსნა.

ინფორმაცია მსახიობმა და პროდიუსერმა ედმონდ მინაშვილმა გაავრცელა:

– ქუთაისში მოსკოვის ქუჩას „შინდისის გმირების“ სახელი მიენიჭა! განსაკუთრებული მადლობა ქუთაისის მერს, იოსებ ხახალეიშვილს, ნამდვილად დიდი საქმისთვის.

ასევე „შინდისის გმირების“ ქუჩები გვაქვს თბილისშიც და გორშიც. სამარადისო დიდება გმირებს!

ოზურგეთის მუზეუმი ანტისანიტარიას აპროტესტებს

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანება ავრცელებს ინფორმაციას, რომ მუზეუმის წინა ტერიტორიაზე აშენებულმა სავაჭრო ობიექტმა იქაურობა ნაგავსაყრელად აქცია:

– სულ რამდენიმე წლის წინ, მუზეუმის წინა ტერიტორიაზე აშენდა მცირე ზომის ნაგებობები, კომერციული ფართები, რომლებშიც განთავსდა სხვადასხვა სახის სავაჭრო პუნქტები, ასევე, კვების ობიექტები.

წინათ ამ ადგილას მშვენიერი, ასწლოვანი, უზარმაზარი მუხები შრიალებდნენ, რომლებიც ქალაქს ძველ იერსახეს უნარჩუნებდნენ, რაც ძალიან ალამაზებდა მუზეუმის წინა ხედს. ახლა კი ვხედავთ ბუტიკების უკანა მხარეს, სადაც დაინახავთ შაურმითა და ბოთლებით ხელში ადამიანებს, რომლებიც დანაყრების შემდეგ იქვე ყრიან ნარჩენებს, შექმნილმა სიტუაციამ ამ ადგილას ანტისანიტარია შექმნა. მუზეუმი ხომ ის ადგილია, სადაც ჩვენ წარსულს ვაცნობთ ადგილობრივ თუ უცხოელ დამთვალიერებელს და ჩვენი ისტორიით ვამაყობთ, წინ კი რას ვაჩვენებთ? ნაგავს?! – ნათქვამია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების ოფიციალურ განცხადებაში.

„საქართველოს ოკუპაციის 100 წლისთავი“ ონლაინ გამოფენით აღინიშნება

ბოლშევიკური რუსეთის მიერ დამოუკიდებელი საქართველოს ოკუპაციიდან 2021 წლის 25 თებერვალს, 100 წელი შესრულდა. ამ ტრაგიკულ თარიღს ეძღვნება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეროვნული არქივის გამოფენა, რომელიც ეროვნული არქივის ვებგვერდზე გაიხსნა.

გამოფენაზე „საქართველოს ოკუპაციის 100 წლისთავი“ წარმოდგენილია ის უნიკალური საარქივო მასალა, რომელიც 100 წლის წინათ საქართველოში მომხდარ სამწუხარო მოვლენებზე საინტერესო და უტყუარ ცნობებს გვაწვდის. მათ შორისაა რუკა, რომელზეც ნაჩვენებია საქართველოში წითელი არმიის შემოჭრის მარშრუტი, მთავრობის ხელმძღვანელთა მოწოდებები და წერილობითი დოკუმენტები, ომის მიმდინარეობის ამსახველი საგაზეთო პუბლიკაციები, ფოტოები და სხვა. საგამოფენო ექსპონატები ნათლად ასახავენ საქართველოს თავგანწირულად ბრძოლასა და 6-კვირიან საომარ მოქმედებს თავისუფლების შენარჩუნებისთვის. გამოფენის ექსპონატების ერთი ნაწილით შექმნილია მულტიმედიური გვერდი.

ბოლო წლებში საქართველოს ეროვნული არქივი აქტიურად მუშაობს, რათა საქართველოს პირველი რესპუბლიკის ისტორიის ამსახველი დოკუმენტები საზოგადოებისთვის უფრო მეტად ხელმისაწვდომი გახდეს. ამისთვის არაერთი საგანმანათლებლო და სამეცნიერო პროექტი ჩატარდა, გამოიცა წიგნები, შეიქმნა ელექტრონული კატალოგი და მულტიმედიის გვერდი, გაიმართა გამოფენები მატერიალურ და ციფრულ ფორმატში.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

თანამდებობის პირი, რომელმაც ქუჩებს საკუთარი ნათესავების სახელები დაარქვა, გაათავისუფლეს

ეგვიპტეში, ქალაქ კაფრ-შუკრის კეთილმოწყობის დეპარტამენტის დირექტორი სამსახურიდან მას შემდეგ გაუშვეს, როდესაც ქალაქის რამდენიმე ქუჩას სახელი გადაარქვა და თავისი მეუღლის და მისი რამდენიმე ნათესავის სახელები მიანიჭა.

აღსანიშნავია, რომ ჩინოსანს ქალაქის მცხოვრებლები უჩიოდნენ. ეგვიპტის კალიუბიას პროვინციის გუბერნატორის აბდულხამიდ ხაჯანის თქმით, თანამდებობის პირი ქალბატონის ქმედება წარმოადგენს კანონის უხეშ დარღვევას, ვინაიდან ქუჩებისთვის სახელების მინიჭების გადაწყვეტილებას იღებს სახალხო საბჭო ან სპეციალური კომიტეტი.

თავის მხრივ, სახელმწიფო მოღვაწე ამტკიცებს, რომ ცილი დასწამეს. მას მიაჩნია, რომ ასეთი საშუალებით ცდილობს ქალაქის ერთ-ერთი მკვიდრი მასზე შურისძიებას.

აღსანიშნავია, რომ ამ დროისთვის ეგვიპტეში ქუჩებს სახელებს არქმევენ საზოგადოებრივი მოღვაწეების, ასევე იმ სამხედროების და პოლიციელების პატივსაცემად, რომლებიც ანტიტერორისტული ოპერაციის დროს დაიღუპნენ.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

26 თებერვლისათვის

ვერძი – სიტუაციის ცვლილებით უკმაყოფილო ხართ. საყიდლებზე წასასვლელად შეუფერებელი დღეა. ** კურო** – ჯანმრთელობას მიხედეთ. საკვების შერჩევისას ყურადღებით იყავით. ნერვებს არ აჰყვეთ. **ტყუპები** – დაუფიქრებლად ნუ ილაპარაკებთ. აკონტროლეთ ემოციები. ცხოველურ საკვებს ერიდეთ. **კირჩხიბი** – ყველა მნიშვნელოვანი საქმე გადადეთ. საკუთარი თავით უკმაყოფილო ხართ. იკვებეთ მსუბუქად. **ლომი** – რთულ პრობლემებს ნუ შეეჭიდებით. გიჯობთ, განიტვირთოთ და დაისვენოთ ახლო მეგობრების წრეში. **ქალწული** – სერიოზული ცვლილებების დღეა. მოსალოდნელია მატერიალური კეთილდღეობა. **სასწორი** – ჯანმრთელობას უყურადღებოდ ნუ დატოვებთ. საჭიროების შემთხვევაში ექიმთან ვიზიტი არ გადადოთ. **ღრიანკალი** – ვარსკვლავები თქვენ მიმართ იმდენად კეთილგანწყობილნი არიან, რომ ყველა საქმეს თავს წარმატებით გაართმევთ. **მშვილდოსანი** – თუ დაკვირვებით და ბრძნულად იმოქმედებთ, მიზანს უთუოდ მიაღწევთ. უხარისხო საკვებს ნუ მიიღებთ. **თხის რქა** – თავი ხელში აიყვანეთ და სულიერ სრულყოფაზე იზრუნეთ. კეთილი საქმის კეთება თქვენვე გარგებთ. **მერწყული** – უპასუხისმგებლობა, ინფანტილიზმი და ეგოიზმი დაგაზარალებთ. აკეთეთ ის საქმე, რომელშიც კვალიფიკაცია გაგაჩნიათ. **თევზები** – ინდივიდუალური მუშაობა დადებით შედეგს გამოიღებს. აიმაღლეთ პროფესიონალიზმი, მიიღეთ დამატებითი ცოდნა.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოხდი ›



შვეულად: 1. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 2. მუსლიმანური რელიგიის ფანატიკოსი მიმდევარი; 3. თიხის ჭურჭლის მკეთებელი ოსტატი; 4. უნგრელი კომპოზიტორი, პიანისტი მამაკაცი; 5. ტურისტთა მეგზური, გიდი იტალიაში; 7. ტროპიკებში გავრცელებული მახრჩობელა გველი; 11. სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 15. თაიგულების შედგენის იაპონური ხელოვნება; 16. პიპინაშვილის საბავშვო მხატვრული ფილმი; 17. ბოულინგის მეორე სახელწოდება; 18. პროფესიონალი მონადირე; 20. სკულპტურული ქმნილება; 22. აეროპორტი თელავივში.

თარაზულად: 6. საქართველოს რაგბისტთა გუნდი; 8. ნახევარკუნძული ევროპაში; 9. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი შუაზიაში; 10. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 12. ინდოეთის ეროვნული გმირი; 13. ქართველი საოპერო მომღერალი ქალი; 14. პირი, რომელიც არც ერთი ქვეყნის მოქალაქედ არ ითვლება; 19. ქართველი მოდელიორი ქალი; 21. დაკოდილი მამალი ცხვარი; 23. ქართველთა სახელწოდება მუსლიმანებში; 24. ერთი ეპოქის გამოჩენილ მოღვაწეთა ჯგუფი; 25. ზღვისპირა კურორტი სამეგრელოში; 26. ქუჩაში განთავსებული სახანძრო ონკანი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა